

რობერტ კელი

საფოსტო გარამები ქვესპეციალისტი



საქართველო

Robert Kelly
POSTCARDS FROM THE UNDERWORLD
Poems

Translation by
Irakli Qolbaia

გამომცემელი: დათო ბარბაქაძე

წინამდებარე გამოცემა ფინანსურად უზრუნველყოფილია პოეზიის მთარგმნელებისთვის ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიას თანდართული იმ თანხის (700,00 ლარი) ნაწილით, რომელიც გამომცემელს 2018 წელს გადაეცა ლიტერატურულ პერიოდიკაში დაპეჭდილი პოეზიის თარგმანის ნომინაციაში. წინამდებარე წიგნის სასტამბო ღირებულებამ შეადგინა 220,00 ლარი. შესაბამისად, დარჩენილი 480,00 ლარი უახლოეს დროში მოხმარდება კიდევ ერთი ან ორი ახალგაზრდა მთარგმნელის წიგნის გამოცემას.

პირველი გამოცემა-აქცია

გამომცემლობა **უნივერსალი**
თბილისი 2019, თებერვალი

ISBN 978-9941-26-451-1

როგორთ კალი

საფოსტო ბარათები
ქვესპენელიდან

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა
ირაკლი ყოლბაიაშ

თარგმანთა წინამდებარე წიგნი ეძღვნება
დათო თუთბერიძეს, რომელმაც პირველად
მოუსმინა ამ სიტყვებს.

მთარგმნელი

ნარსულები

არა წარსული. წარსულები.

ფატალური მხოლობითი. ჩვენი საზოგადოება წყეულია, ტანჯულია მონოთეიზმით. და - მონოთეოსის ყველა ფერმკრთალი აჩრდილით: სწორედ აქ ჩნდება **შედევრის კულტი**, **დიდი ავტორის** მითი, მონარქია და მასთან ერთად თანამედროვე ერ-სახელმწიფო, რომელსაც მემკვიდრეობით ერგება მონარქიის ტოტალიტარული ეთოსი. დღეს მონოთეოსის რეინკარნაცია საკუთარი **მე-ა**. მხოლობითი მე, ყველა ჩვენს გადახრათაგან ყველაზე უცნაური. მე, რომლის კულტი და თაყვანისცემაც უფლებამოსილების, სახელის მოხვეჭის ხარბი ქსელია. რომლის მოთხოვნაც ომია.

ნურასდროს დართავ სკოლებს და სწავლულებს ნებას, ისტორიაზე ილაპარაკონ. სულ მცირე, ილაპარაკე ისტორიებზე. საუკეთესო შემ-

თხვევაში - საგანთა ფესვებისა და ტოტების გა-
მოკვლევაზე.

მონარქი ხის ერთი ხილული ასპექტია. მონოთე-
ოსი რეალობის ერთი წარმოსადგენი ასპექტია.
ნუ მიანიჭებ მათ ამაზე მეტ პრივილეგიას.

მაშინ როდესაც:

ჩვენი წარსულები სიზმრებივით მრავალფერო-
ვანი და სხვადასხვაგვარია

ჩვენი წარსულები ყველა ენებზე მეტყველებ-
ენ

ჩვენი წარსულები უარყოფენ ერთადერთი მნიშ-
ვნელობის ზედაპირულ ჩვენებას

ჩვენი წარსულები უარყოფენ ფაქტების ზედაპ-
ირულ დოქტრინას

ჩვენი წარსულები ცრუ ვინაობებისგან გვათა-
ვისუფლებენ

გვათავისუფლებენ კლასისა და რასის პოზებ-
ისგან.

მხოლოდ ისტორიის, ელ ტუერტოს, სიელმემ

გამოიწვია, რომ სამარცხევინოდ ჩავეშვით ეროვნებისა და რასობრივი სიწმინდის რწმენაში.

ისტორიამ ბევრად მეტი ქალაქი დაწვა, ვიდრე - კრიმინალმა

პრივილეგირებული წარსულის იდეა

პრივილეგირებული წარსულის იდეა
რომელიც წინ მიგვიძლვის "ჩვენ".

იმედი არსებობს:

წარსულთა გამოგონება ჩვენი საუკუნის უტკბესი ხელოვნებაა.

არ უნდა ველოდოთ, როდის გამოიგონებს ბორები ტლონს. ჩვენი წარსულები სავსეა ლაიონე-სებით, სხვაგნეთებით, Ailleur-ებით, Anywhere Out of the World-ებით. და ისინი სანდონი არიან, როგორც ფრიმენია სანდო უილიამ რუფუსის შესახებ ანდა - ტრევორ როპერი ჰიტლერის შესახებ. მეტიც. ისინი იგონებენ შინაგანი რწმენით, რომლის განცდისაც ჩვენს ისტორიკოსებს - მათ, არა-გამომძიებლებს - რცხვენიათ - ნდობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

რობერტ დანკანი ამბობდა, რომ ახალგაზრდა პოეტის მრავალთაგან ერთ-ერთი მოვალეობა (ეს მოვალეობები ამავე დროს უფლებებია) საკუთარი ჰოროსკოპის გამოგონებაა. წინაპრების არჩევა - l'invention des aieux (ძველთა გამოგონება).

ჩვეულებრივ, ადამიანები თავს "საკუთარი" ჰოროსკოპების ხაფანგებში იმწყვდევენ, ესე იგი, თავიანთი ნატალური გენის განზრახვაში.

ჩვენ წარსულთა გამოგონება. (Invenire, ლათ-ინურად, ცხადია, ნიშნავს იმასაც, რასაც ჩვენ ინვენციაში ვგულისხმობთ, და აღმოჩენასაც - ანუ, აღმოაჩინო ის, რაც ისედაც არსებობს). ჩვენ სამარადისოდ ვიქწებით გამომწყვდეულ-ნი ამ ნაყოფიერ ორაზროვნებაში. ვიმედოვნებ.

ახალგაზრდა პოეტი, აგრეთვე, არის ქალი წარსულის გარეშე, რომელიც თავისი წარმოსახვის კაშკაშა სინათლით აქრობს იმათ ჩრდილებს ვინც მანამდე იყო. ახალგაზრდა პოეტს მემკვიდრეობად ტრადიციისგან გათავისუფლების ტრადიცია ეძლევა. ესაა მისი საიდუმლო, მისი თავზარი, მისი მოვალეობა, მისი საფრთხე.

ამრიგად, ვფიქრობ, წარსულთა მიზანი ის უნდა იყოს, რომ გამოიგონოს კიდევ რამდენიმე წინა-მავლი: ისინი, რომლებიც ჩვენამდე იყვნენ, ისე, რომ ჩვენ არ გვცოდნია, რომლებიც მოგვეპ-არენ წარსულიდან როცა, ბოლოს და ბოლოს, მზად ვიყავით მათ დასანახად. (სურრეალისტე-ბი ლოტრეამონს არ შეუქმნია; ლოტრეამონი, რომელიც ჩვენ ვიცით, შექმნეს სურრეალისტ-ებმა. მომავალი ქმნის წარსულს - ეს ყოველთ-ვის ყველამ იცოდა.)

ახალგაზრდა პოეტი პოეზიის ყველა საჭირო (ანუ შესაძლებელ) წარსულს ქმნის. პაუნდს შე-უძლია, რაღაც საერთო კონტექსტში წარმო-იდგინოს არნო დანიელი და როჩესტერის გრა-ფი და საფო და ლი პო და, როგორლაც, ამას თა-ვისი პაიდეულმა ან გნომონი ან ლერძული წერ-ტილი უწოდოს. ბრეტონს შეუძლია, აკრძალოს კლასიკოსები და აკადემიკოსები, თავი უკრას სანავე ურნაში, წარწერით **NE LISEZ PAS** (ნუ წაიკითხავთ), და ახალი კანონი შექმნას, შემდ-გარი სიზმრის მსახურებისგან, ბრწყინვალე ხელმოცარულებისგან, ღამის შვილებისგან, ნა-ხევრად გაუგებარ სურათებს რომ ზლუქუნებ-ენ. და ეს კანონი უფრო გვადგება, ვიდრე დაქ-

ანცული ძიაკაცები, რომლებიც მან ჩაანაცვლა.

ამრიგად, როცა ამ წარსულთა საკითხებს ვეხები, მე არ ვიჩემებ სხვა პრივილეგიას, გარდა საკუთარი მშობლების გამოგონებებისა, იქნება ისინი რეალური, წარმოსახვითი თუ სასურველი.

არავის უნდა, იცხოვროს სამყაროში, რომელიც ბელინის და დედა ტერეზას და მილარეპას და ბლეიკს და რაიხს და საფოს და ჰოლდერლინს და გრძელი სიმღერის მთხველებს არ შეუქმნიათ - ტალიესინს, ქალს, რომელიც ჰომეროსი იყო, კოჭლ ვერგილიუსს, ვიასა მრავალს, ვალმიკი ერთადერთს, სპენსერ ბარაქიანს, ქოლრიჯ და ხარჯულს, ტენისონს რომელიც მეტყველებაში იმაღლება, ბეკეტს რომელიც მდუმარებაში ყვირის, და გერტრუდ სტაინს, რომელიც ცისკრის მაღვიძებელია, იმავე დუნე დილის, რომლის გაგებასაც ჯერაც ვცდილობთ,

ენის დილა, რომელშიც ლამისაა, გამოვილვიდეთ.

და იქაა, უკან, წარსულებში, იქ იცდიან ძალები, მზად, გამოგვადგნენ.

ჰომეროსი, არა ბრმა. არა ბრმა, არამედ ქალი. გენდერის განუკურნებელი იარა მოსჩანს მის ყველა სახე-ხატში, მის ყველა სიკეთეში, მის ყველა მიუკერძოებლობაში, ჰომეროსი, ბერძნთა დედა, ტროელთა დედა.

როცა ცენტრი მკვდარია, ყველა სანუკვარი რამ ექსცენტრიულია.

როცა ცენტრი მკვდარია, ექსცენტრიულს უნდა მივაშუროთ, პერიფერიას, სადაც ცხოვრება იცდის.

განა ეს არ იყო, რასაც მოდერნისტები ამბობდნენ? განა ეგ არაა, რასაც შენიგულიამბობს, როცა დგახარ წიგნის გამყიდველ სუპერმარკეტში და უყურებიგივეობის გამოფენის გამრავლებას?

როცა ცენტრი მკვდარია, ჩვენ უილიამ დაიაფერს და კვირინუს კულმანს ვეძლევით, და შერიდან ლეფანიუს და მეთიუ შილს და სიდნი ლანიეს (რომლის სახელის ხსენებაც კი აღარაა ისეთ "საჯარო ჩანაწერებში", როგორიც ჰარვარდის ამერიკული ლიტერატურის ისტორიაა, მაგრამ რომლის "გლინის საფლობებიც" დღემდე

ბევრი ამერიკელი პოეტის გონიებას იპყრობს, და რომლის საზომებიც, უიტმენისაზე უფრო გი-შურები, ჯეფერსთან და დანკანთან მეორდებიან). თომას ბედოუსი დაგვეხმარება, და უილბერ ლეკომტი და რობერტ ბარლოუ და ფილიპ ლამანტია და სტივენ ჯონასი და უელდონ კისი.

იქნებ, ბოლოს და ბოლოს, განვკურნოთ ჩვენი თავები აფრიკისა და აზიის არა-სტანდარტული, არა-გეგმიური თეოლოგიების (როგორც მათ ლენი ბრუსი ეძახდა) გიუური ნებართვებით, მოძველებულის, ხმარებიდან ამოსულის, გაცვეთილის, არქაულის, დროებითის, მიუღებლის, დაკარგულის, დაწყევლილის, მედიის მიერ მივიწყებულის, ექსტრაკურიკულარულის, აბსურდულის ნებართვებით,

ისევე, როგორც "სერიოზულმა" მუსიკამ განიკურნა თავი ნების შეურაცხადი პარალიზების-გან (მუსიკაში ნება მელოდიაა), ნების, რომლი-თაც გავიზარდეთ მეორე ვენური სკოლის გვალვიანობის უამს,

განიკურნა თავი გიუი რომანტიკოსებით და ბრუკნერის, შტრაუსის და მალერის უსასრუ-

ლო ექსცენტრიულობებით, მაღლერის, რომლის
მეორე შობამაც სამუდამოდ უნდა მოჰყონოს
ნათელი ბეთჰოვენისა და ბახის ჭეშმარიტ ექს-
ცენტრიულობას (მაგალითად, კონსერვატორი-
ელ სპონტინისა და კერუბინისთან შედარებ-
ით).

და მე ჯერაც მჯერა, რომ გერტრუდ სტაინი
ჩვენი ლამის ერთადერთი აზრიანი მწერალია.

აზრი, შეხედულებების შემოთავაზების ნაცვ-
ლად. მას შეხედულებები არ გააჩნდა, მხოლოდ
იმის ძალა ჰქონდა, რომ აზრი მოეხდინა.

წარსულები რისკებითაა სავსე. ეს რისკებია,
რაც მსურს, მოგიტანო.

საფოსტო პარათეპი ქვესპელიდან

1.

იმ ქვეყანაში არის ფეტვის გროვა
გზის შენ მიერ გასავლელ მხარეს.

წვიმა მას არ ასველებს და თითოეულმა
გამვლელმა ერთი
ერთადერთი თესლი უნდა მოტეხოს იმ
გროვიდან
და დაუღეჭავად გადაყლაპოს
ისე რომ რაც შეიძლება ცოტა მარცვალი
შეირხეს

რომელთაგანაც რამდენიმე აუცილებლად
ჩამოვარდება
ხოლო დაცემულები
ვარდებიან ადამიანურ სამყაროში და
იბადებიან ადამიანურ სულებად
ანუ წინ აქვთ სხეულთა პოვნის
მთელი ჯაფა

და იმას რომლის თითმაც ისინი ფეტვის
გროვიდან განდევნა
თავის სინდისზე ჰყავს ეს სულები სანამ
ისინიც თავის მხრივ

არჩაუვლიან ფეტვის ნაყარს და თავის
არჩევანს არ გააკეთებენ

იქიდან შორს და მაღლა გზაზე
თავდაპირველი მჭამელი
მაშინ იგრძნობს აუხსნელ შვებას
ქარი ვარდება და გადასწევს
იმას რაც მას მთელი ეს დრო ლურჯი ცა ეგონა
და პირბადეს ხდის

და ის მიაშურებს მომდევნო ქვეყანას
თან რბილ გაზაფხულის ქარს გრძნობს თავის
რბილ ყელზე.

11.

იმ ქვეყანაში არის აუზი
სადაც ახლად მომკვდარი მოგზაურები
იბანენ იარებს

განიპანებიან და თავს განახლებულად
გრძნობენ
და განაგრძობენ თავის ექსკურსიას
ჯანსალი და ხელუხლებელი კანით

მაგრამ აუზი თუ შიგ ჩაიხედავ

ნათელი ჩუმი წყლების მიღმა
სავსეა იარებით
სისხლიანი რთული და მდიდარი ფსკერის
გაყოლებაზე
როგორც ნებისმიერი ადამიანური ქვეყნის
რუკა.

12.

იმ ქვეყანაში არის ტელეფონი
გადმოკიდული ხანდახან ხის ღობის თავზე
ან ტირიფის გვერდზე

მისი დანიშნულება გაურკვეველია
მაგრამ დაქანცული ან გზად შემოლამებული
მგზავრები
ხანდახან იღებენ მას და აყურადებენ

ისინი ნაცნობ მოხაზულობას გრძნობენ ხელში
ისე მსგავსს იმ ხილის რომელსაც ვერ შეჭამ
მაგრამ ყურმილი აქეუცნაურებათ

და შეგრძნება მათ ხელში უფრო მძლავრია
ვიდრე რასაც კი ყურმილი ეტყვით
თუმცა უსმენენ ზარის გასვლის
დამამშვიდებელ ტონს

და ხანდახან ღილაკებს აჭერენ
 და სულაც უცდიან როდის აიღებს
 ერთ-ერთი იმ ხმათაგანი რომელიც პასუხობს

იმავე გულისგამანვრილებელ ენაზე რომ
 მეტყველებს
 რომელიც ერთადერთია რასაც აქ ოდესმე
 გაიგებ

და ერთ სიტყვასაც ვერ გაარჩევ

თუმცა ზუსტად ინგლისურივით უღერს
 წარმოთქმული სწრაფად და გულწრფელად
 ერთ ოთახში ცოტა ზედმეტად შორს
 დერეფნის გაყოლებაზე.

24.

იმ ქვეყანაში აქვთ მანძილი
 რომელიც თავსდება ორ ადამიანს შორის
 როგორც პური ტოსტერში.
 ისინი ისევ ხედავენ ერთმანეთს, ისევ
 შეუძლიათ ილაპარაკონ.
 მაგრამ მანძილი მათ შორისაა. თავს ისე
 გრძნობენ
 როგორც სხვადასხვა ქალაქები ერთ
 ქვეყანაში

ან სხვადასხვა ქვეყნები ერთ სამყაროში.
ერთი ილვიძებს და მეორე წასული ხვდება:
მაგრამ მანძილი ისევ იქაა, ის მას ათრევს
როგორც ბრმა კაცი ათრევს თავის ხელებს.

ქვის კედელი პროცედურები

1.

გარიურაჟზე მზე იძიებს ქრისტიანული
მეცნიერების
ეკლესიის ლურჯ სპილენძის სახურავს და
შებინდებისას

იგივე საქმიანი რკო კრძალავს ვარდშეფენილ
შუქს.

მერე ბნელა. ზამთარია. ტრფობის გრძელი

მტკიცებები, იმდენადვე ჩვენი ნაწილი,
რამდენადაც ბზარები ჭიქურში
არიან ფაიფურის ნაწილები, რთულად
დასანახდებიან ამ განათებაში.

რთულად გაიგონებიან. გული ყოველთვის
გამოძიებაა.
ნება მომეცი, სირთულიდან დასკვნები
გამოვიტანო. რაც რთულია

ყოველთვის დასაწყისია და ისევე არ
მთავრდება
როგორც მოხატულობა არ მთავრდება
მეწამულ ბუხარას ხალიჩაზე

თუმცა აღწევს ორნამენტულ მიჯნას და
განაგრძობს
ყველა სხვა შესაძლო მიმართულებით,
რომელსაც კი მისი იდუმალება ემემკვიდრევა
ისევ და ისევ, თავისივე იმედი,
თავისივე მადლი. გარიყული ღიაობაში,
ცვლილების იმედით,
ძველი მე ახალ ქალაქში, ფერებივით თავკერძა.

3.

რაც ძალას შეეხება: ისაა კითხვის დასმის
შრატი
გონების სისხლში რომ მიედინება. გონება
ჭავლია
ყოველგვარ ხორცში, ის მდინარეა, ეს მდინარე,
ფიქალის შენადნობი, ზანტი ფოქს პოინტის
თაღებქვეშ

გაზღვავებისკენ ნელამავალი. გონება მისი
შემთხვევებია,
ერთგული ქსოვილისა და თეძოს ღელვისადმი

ქსოვილს რომ იგონებს. ის არაა არსად. წყლის
გამჭრიახობა
ყველგან შეძვრეს მისი ცბიერებაცაა. მას
შეუძლია სეზონი გაყინოს

მაგრამ ყოველთვის მოვა გაზაფხული. დილით
გუმბათი ბრუნდება
სცდება უშველებელ სათამაშო მოედანს
სადაც გოგონები მწკრივად

ხტიან ცივი წითელი მუხლებით კუბოკრულ
კაბებქვეშ, ზრდილი ამოკივლებებით.
და გონებას ისევ რაღაც ეძლევა სამუშაოდ,
დაქანცულს

ღამის ნაწყლულები ენისგან რომელსაც ის
ღრღნის, უცნაური გრამატიკისგან
რომლითაც ღამის სამი საათი იქცევა ძილად
ხოლო ძილი განთიადდება

ვითარცა ერთი გაბმული წინადადება
ნებისმიერულად.

9.

სასოწარკვეთილი ქმედებაა, ეს ჩემიანებთან

ყოფნა, კაფეში.

ორნი მუშაობენ, ერთმანეთისგან

ზურგშექცევით, მესამე შუაში გაჭედილი -
ქალები, სიბრძნე.

რადგან სიბრძნე არამც და არამც მარტოხელა

არაა. არ არსებობს უზენაესი შეთანხმება,
გარდა საუბრის გაგრძელებისა. დაიცავი

დროის მარხვები, იისფერი ხსნილები,
რომლებიც მაუცნაურებენ

იფიქრე, ნეტა ვინ მოკვდა ღამით. ვინ

დაიბადა?

რა ალძრავს ნათელს, ახალი ამბებივით

გასკდეს

ჩვენში, მიიღოს იმათი ფორმა, გაშიფვრად

ორნამენტებში

რომ მიქრიან, მოგვიანებით, გონება

ფუტკრის ბილიკების კვალდაკვალ

როგორ მოძრაობს სამი ქალი დახლის უკან,

ტოვებენ კვალს, რომელიც თავადაც
გამეორდება ფორმალურ წყვეტად უფორმო
აზროვნებაში.

ან კიდევ შესუდრული ფანჯრების უკან
ჯერაც შუქგამტარი ოჯახები მიდი-მოდიან
თავიანთი ინტერაქტიული სიშორეების
ბრძოლის ველზე, შემთხვევითი ბინების

დაშინებული ცნობარი მიმართავს მათ ბრაზს
და ისეთ სიმშვიდეს ანიჭებს
რისი ბოძებაც სივრცეს ძალუძს თავისი
წყალობით: დაახლოება, შორს დატოვება,
რბილი კუთხე

ჩემივე თავის შესაბრალებლად,
დასაავადებლად, ან იარების სალოკად. და
ამად
წოდებულ სობაში, ამ ჩემთვის ძვირფას
სასუსნავებს შორის, დგას კედელი.

11.

ვუბრუნდებით, ბოლოს და ბოლოს,
უმარტივეს ცოდნას:
ფანჯარას მედ მოაქვს თავი მეთა სამყაროში.

რაც ტკივილს გვანიჭებს იოლად
გვამახსოვრდება,
ფეხი, კბილი, რიცხვი. კბილის ექიმი პარიზში

შენს ტკივილს ყური რომ არ დაუგდო.

საჭიროება. ვწოლილვარ
შენს გვერდით და არ მცოდნია. ჩვენ არ
გვცოდნია

და მაინც მდელო ერლინგტონის გადაღმა
სინათლით ივსება, საგუნდო მარშით,
სახურავთა ტყით

რომ რამე საბოლოო გამოსალმება უთხრა
უშველებელ ქალაქს
რომელშიც ჩვენ ცხოვრებას გავაგრძელებთ,
ვიცხოვრებთ მარად, მასში, მის ბოლოს

ამ წამს და ამ თვალში ის მიდის ჩვენგან
ფიქალნაცრისფრის და უმბრის და ლურჯის
გავლით.

ჩრდილიც ფანჯრიდან შემოდის, ამ ცხელი
პარმალების,
ყვითელი კედლების, გვერდით ოთახში
მარჯვედ გართული კურსდამთავრებული
სტუდენტებისთვის.

ნუ დამივიწყებ, ხის კენწეროო, თუმც

ფოთლებს იცვენ
და სინათლის ტალღებქვეშ ძირავ ჩემი
ყურადღების წიგნს.

20.

ამრიგად, ქალი ფრინტებქვეშ სწავლობს
თავის წიგნს.
თავის ჭერქვეშ სახლი ზის და სიზმრობს
ფიქალზე. კლდე ხავსს ხედავს სიზმრად.

ახლა გიცნობ, კედელო. შენ ხარ ბავშვობაში
თქმული წინადადება,
დაფაზე დაფქვული ომის დროინდელი
ცარცით, განაჩენი ხარ,

დავიწყებულ სიტყვათა წინადადება, თუმცა
ფორმით ყველა მტკიცების მასწავლებელი.
მეტი რა აზრი გამოვიტანო? თანაფარდობა.
სამერცხული, ღმერთების

ვეება მტვრიანი ტანები. ან იქნებ ყველა
სხეული მტვრიანია, ცარცმტვრიანი,
და ყველა წიგნი, მათი თხრილები სავსე
მტვრით, რომელსაც ფიქრისთვის ვიყენებთ?

როდესაც ღმერთმა იცის, რომ მისი სიკვდილი
ახლოა, მტვერი ეცემა მის ფარჩიას.
მისი იღლიები უეცრად უშვებენ მთელი
ოფლის

სურნელს რომელიც მუშამ თავად რომ
არასდროს ყოფილა დაღვარა
პატიოსანი მაგრამ უზრუნველი შრომით.
იშლება მისი გიტარის სიმები.

ჰოდა დავყურებ ამ დაბალ, უშნო, განიერ
გუმბათს და ვიმეორებ
თუ რა სანუკვარია ამგვარი ცხოვრება,
რომელშიც შეგიძლია თქვა:

ზანგი ბიჭი მორბის და მე ის ვარ. ძალლი
მორბის მასთან ერთად და მე ის ვარ.
მე მას ვხედავ და ვარ დანახული და ვარ
დანახვა. და აქედან გამომდინარეობს
მეთოდი:

თაყვანი სცე ყველა განსხვავებას და იცოდე
რომ არ არსებობს განსხვავება.

განთავისუფლების დღისაკან

მნიშვნელობა არ აქვს, იქ რას ხედავ

(ეს პირი აზრითაა სავსე
მოსმენას გემო არ აქვს
არ აქვს აზრი გაგებას
იმის რაც ენის ქვეშ მდგარ მარჩხობში
იგრიხება)

(და თუ ის იტყვის, უსმინე! თქვი
დალიე მოსმენა
შენივე ყურებით, სიტყვა
მოსასმენად არაა)

ენა? ენის კომუნიკაციის გულისთვის გამოყენ-
ება იგივეა რაც ანტიკური ტყის გამოყენება ქა-
ლალდის პირსახოცების და მუყაოს ყუთების
დასამზადებლად მთელი ამ წლებისგან, რაც ქა-
რმა და ყვავებმა იცეკვეს მის კენწეროში.

სიტყვა მოსასმენად არაა
და არც სათქმელად -
რა არის სიტყვა?

კატეხიზმო ასე იწყება:
ვინ გქმნა?
ენამ შემქმნა.
რისთვის შეგქმნა?
შემქმნა რათა ტოტი აერია ქარში.
რისთვის?
ფესვის დასამალად.
სადაა ფესვი?
ის ენის ქვეშ ძევს.
სთქვი ის.
ის მეტყველების ქვეშ ძევს.
სიტყვა?
სიტყვა გამვლელი სხეულის ჩრდილია.
სხეული ვისია?
ჩრდილის საკუთარი.

კაცი რომელსაც თეთრი შოკოლადი უყვარდა

არსებობს კვერცხი საგნების შუაში
ლურჯი მცურავი ერთგვარი მათრახი
ბრუნვის მოსამთავრებლად, მის

განსასხეულებლად
(გასანივთჩხვლეტად), არსებობს ფილთაქვა
ლითონს ურახუნებს არსებობს ბაყაყი
ცხადი მაზი რომელიც მოსვლაზრებას
იკედლებს
ქვირითის დინება გზა გზა და გზა გზა,
არსებობს გონგი რომელიც კვერცხში სცემს
აღვიძებს მას თავისი მადისგან.

იყავი სულ ცოტა, ახალო მოქალაქე.
ადვილი რამების კარგად დაწერილი
პიესების ინტელექტუალური ჰედონიზმი,
ხელობა
ვინმე მყიდველის ფუფუნებისთვის -
თუმცა არ არსებობს ფეხსაცმელი თავისი
ფრჩხილის გარეშე
- იალქნები უნავო სჯობს -
რამდენნაირად შეიძლება იქორწინო

და იცხოვრე სიუხვეში როგორც იცხოვრებდი
ესპანეთში
მდუმარედ კარგად ნამსახურები უდაბურ
ზეგანზე
ჩვენი ხორციანი დალუპვის ზედამხედველად:
ო სვავებო
(მაგრამ ისინი არ მპასუხობენ, რადგან
შაშვები არიან,
ბელურები, მისთანები, და უბრალო ყვავები)
თავისი თემა აქვთ მისი არ სჭირდებათ

თეთრი გემო უდგას პირში
ერთგული მესრის გრძელი მწკრივი
მისი მეზობლის სინათლეში ჩამოკიდული
გორგოლაჭს მოხსნილი და გაჭიმული
გონებასაზღვრის სიგრძეზე, ეს კბილი
შენთვის, მუჩაჩა, და (ლახაიმ!)

ერთი-ორი ჩხვლეტა - დამუხტული ვარდები -
შენს ხელში. სურვილისამებრ დამორჩილდი
ძალლს.

წადი. (ის ირეკლავს სიბნელეს ვითარცა
რეპეტიციას ამ ტკბილი უსასობისთვის
ამ გრძელი გარეშესთვის) ლურჯი
ყვავილები

წითელი ჩიტები ახალი ბალახი ყვითელი სკამი
დანებების დროშა აღმართული
ფაფუქ უფერულ ჰაერში. მჭამე
თქვა დღემ, მე არასდროს მითოვია,
არასდროს დამვიწყნია. ჩიტი ავაზაკი,
ჩხარუნაფრთამოკეცილი მტაცებელი

ფრინველები მრავლობენ

სანსლავენ ამგვარ ძლვენებს, უმი
საუბრები დაშორებულ საყვარლებს შორის
აუცხოებს მას თავისგან. რამდენიმე
ვარსკვლავი.

აღიარე რომ მადა მეტწილად გონებაა
მხოლოდ ერთი ციცქა ხელსაწყოლა დაგრჩა
რომ თან გეძინოს

- თითქმის ნარინჯისფერი კარდინალი

ჭყეტელა მზეში
დიდდება მდინარის მიმართულებით სადაც
ქალი ზის

წითელსამოსელმოსხმული ეტიტინება თავის
მეგობარს

რომელმაც თმა მეტისმეტად მოკლედ შეიჭრა -
დაბლა ვინ მექაჩება? შეხე, შეხე
სადაც ამინდებრ ცვლადი ტყის ბებერი

მოზრდილი ლუკმა

ჩერდება, იყოფა, პირს ფართოდ აფჩენს ცის
მყარში

ქრისტეს საუფლო ტულკუს დასანახებლად.
ესეც კი, გული, კიდევ ერთი, მორიგი რამეა
მხოლოდ.

საუბარი რაღაცის გულის ანაცერია,
გვირგვინი წნული უბედურებათაგან
რომელთა მოლურჯნაცრისფრო ფურცლებიც
ვბედავთ თითო-თითოდ ვწყვიტოთ. ლურჯი
ყვავილი

არასდროს ნაპოვნი გარდა კარგვაში.
მრავალი დამწვარი ხელი, დაგირავებული
გონება,
არასაკმაოდ გამოფიტული საძირკველი,
კეთროვანი კედელი.
ალევიანე, გამოტუტე, მერე დაფქვი
- მორიგი ტყუილი პანთეონის
შემქმნელებისგან -
მეძავის ეკლესიაში მკვდარი იმპერატორი
იცდის.

Le tombeau შენი ბოლო კონკრეტული
მაგალითისთვის.
ფართო ნაციგურები, ტალღის მაღლობზე,
პრორსუმ, პირ.

გალესე შენი კიფო ამგვარად სქელი
ზღვებისთვის.

წამის შემდეგ. ახლა როგორაა,
და მისი ახალი მანქანა თუ დაკემსავს
მანძილს?

დალვარე გზა რომელზეც მდუმარედ დადიან
გარემოებით ხუნდდადებულნი,
თავქუდშიშვლები,
ქარაწენილები, მორცხვი კონკისტადორი?
მალინჩე, გახსოვდეს მას. რა ბნელი.
Weinend, klagend, აღგვილი აღდგომა,
ხუ იმედოვნებ, იდლეგრძელე, ცისთვალად
ილურჯე, იჩქარე.
გაზაფხული დღეს შემოვიდა, არა საოცრება
სადარი ამ საოცრების. დალონებული ბატყანი.

იალერსე. რა სამყაროს წარმოშობს
თავისზე მეტად აღმაგზნებელს, და თუ არ,
იწუხე,
მდედრმარცხო, კიდევ ერთი ამწამს
მოწყვეტილი ვარდი.

ო ის არაფერს იგონებს,
ის ავი მდედრი, ხომ არ ჰგონია
ხორცი ხორცისთვის საკმარისია და ლაპარაკი
ლაპარაკისთვის,

მარადცულადი, ჭორაობა და სექსი?
ნნ. გაუხახუნე ორი ალალბედ არჩეული
სიტყვა ერთმანეთს

და მიიღებ სამყაროს უფრო უხვს ვიდრე
ნეპისმიერი ეს.

ინდაურის ბუმბულით მბრუნავი მიკრონი
ჩვენ ვეჭვობთ ჩვენს იმავე შავ სხეულებს და
თეთრ სხეულებს
რადგან განსხვავება მხოლოდ მანქანაა
ნასვლისუნარიანი
მხოლოდ იმ გზებზე ჩვენ რომ გავჭერით
და პოვნა არ არსებობს მას აქამდე არ
უპოვია

- კაცი რომელიც ბრინჯის პუდინგს ჭამდა
ისე რომ დიდაც არც მოსწონდა და ნამდვილად
არ სძაგდა - ერთი ბრუნი
და ის აქაა - ლაქტოგლიკოდინამო
დაახლ. ერთი კილოკალორია გასაღვიძებლად
ჩვენი იმ ნაწილის რომელსაც სძინავს -
ბრჭყვიალა წითელი მოსართავები ნაძვის
ხეზე, აპრილის ლენტა -
ოცეცხლწაკიდებული სახლის სირენის
სიგნალი

როდესაც სკეპტიკოსებიც კი გარბიან - ესეც
კაუჭი და კიბე! - სულის პროჟექტორები
დაადგნენ ნაჩქარევ ნანგრევს - იჩქარე -
რამე წითელს დაპირდი პატარა ბავშვებს.

დაპირდი აღმოსავლეთის ქარებს მგრძონიარე
დასავლეთს

და შინ დაბრუნდებიან, ყოველი წინადადება
მთლიანობაა იმის რაც კი ოდესმე იცის,
მაგრამ სახლი არ აქვს მათ შესაყვანად,
ეს მდიდრულია, ეს ტუჩებია. ბჭობას
შეჰყევი, სუნთქვასა და სუნთქვას შორის
თვალს მოჰკრავ ჭეშმარიტ აღმოსავლეთს -

როგორც როცა სიტყვები
უეცრად რომ ხედავ როგორ ქმნის მისი პირი
მხოლოდ იმისთვის არიან რომ მის ლაპარაკს

შეგახედონ

- მის და მასში - მიღმა და შინ აღარასდროს
დაბრუნდე

- რაც იყო აღთქმულმიწელის აღთქმა,
სუფთა წასვლა! გახვრიტე წასვლა,
მტკივნეული მისვლა,

და უეცრად მცდარი ტრფობის წადიმი (კარი
უეცრად იღება მისთვის) უსმინე (ოპერა
ეგ საკვირველი მანქანა) ("იგრძენი ჩემი გულის
ცემა სადაც შენი ყური ჩქარობს")

ბატონებო და ქალბატონებო ვირისტერფას
გველის სურო
ბლუზი (ძუძუს ქმარი) (ირიბულა)

კაცს რომელსაც თეთრი შოკოლადი უყვარდა
უყვარდა ზღვის ჭორი
რომ ერთ-ერთი ამ რძიან კამერლენგათაგან
(რთულია გერბის ვიწრო ზოლების
განჭვრეტა, მისი, როგორც
დღეს თქვა მან ცის შესახებ, ღრუბლების
საგანძურები)

გააცურებდა მას წიგნთან ან წიგნს მასთან
ბრძენკაცი კარაგინის ქვეშ ძველი არლოგიკა
იღება - ანალიზია უდიდესი იდუმალება -
იმ არსის განიდუმალება რომლებითაც ის
ხედავს მათ,
უ, სრულ, ესი, სი, ბრძნე, კონტინენტი.
არა ნებისმიერი სარკით იხილო შენი შიშველი
სახე.

თეთრნაწვერალი ლოყები ახალგაზრდული
იერი
ფანჯრის რაფაზე ექვსი ნიბლია მათხოვრობს
საკენკა

გლორიოზოები სავსე ტლიკინით და
კახპურაზრება, ის ოქროს ხედავს
დღის მწვანექმნილების უკან, გაზაფხულს,
დუნეს, ზეთს, მყარად მდგარს შიგნიდან
მოშვებულს

ვარ თავდაუდებელი
ბუნებრივი შერჩევის გროტო
რასაც ის ფიქრობდა სახლში წასვლისას
ფიქრობს მას ანი მარად ან არა ოდეს
- რამეს უნდა ნიშნავდეს
ბეთჰოვენის ბიუსტი თაროზე - პატარ-
პატარა ლუკმებად მიიღე, გონება -

შეხედე წლის დროს შიგ რომ მე გხვდება
ისე კოხტა ჩაკალითფული მიხვდებოდი
რომ არ არსებობს საერთოდ მსგავსი რამ,
მართალიც იქნებოდი,
ცივი ლორის მომნელებლები, მკერდი
სავსე მედლებით რომ მორთო თავისთვის
ლამაზად მომინანქრებული - არ კანზასული
ღვეზელი
მისი პაჩულისსურნელოვანი საჯდომი -

უორჟ სანდის თითები დაუყვებიან კლავიშებს
მეტოქეობის პირადულ აგონიებში -
მე ამ გმირის ნეფრიტით მორთულ ჯვარს
ვატარებ

პიპოთალამუსის კამპანიისთვის,
ეს ლალის ბორბალი, ეს სპინაკერის სპილოს
ძვალი

მთელი ჩემი სიჯიუტისთვის, სარკის
ლაქლაქი,
ქურდების ანდერძი.

დილაა და ის ისევ სპერმითაა სავსე.

ელეგია

მარტო მარტო არაა არც შეხება არც
საჭიროება
ბინა დაიდო ცხვრებთან არქაულ
საძოვრებთან
ვინც კლდე იყო მცირე მზის სხივში ნაგები
ბოლოსდაბოლოს რომელიმე წვეტურის
თავზე - თვალშისაცემი
მასზე ნაკვეთი კიდევ ერთი ღმერთის
სახელით.
ლტოლვა საშინელი უდაბნოა. დამწვარ
ხვლიკს
და გადამხმარ ძუ ლომს ძალუძთ მხოლოდ
ამ სახელის მართვა. ახლა ტელეფონი
მღერის და ათასობით ხელმოწერა
პასუხობს, როგორც იქნა, ჩემს ფოსტას.
კუბისტური
საუბრები უმზერენ ქალებს, თან მოარულებს
თან ვინმესთან მოსაუბრეებს. რა სიმარჯვეა
იყო მონამე ან ერექცია გააყალბო
რადგან არაფერია უბრალოდ უბრალო. წავალ
რადგან მან ითხოვა ჩემი ყურადღება
მაგრამ მინდა დარჩენა რადგან შენი რძე
მიყვარს.

გამჭვირვალე რათა შიდა სამუშაოები
გამოაჩინოს
ცვრით დაზღაპრული ანდა დილის
თვალთმაქცობებით,
ქუჩები, ეს ცრუ წანამძღვრები, მიუყვებიან
ღრმად, ღრმად გაუგებარ მოსაზრებაში

ჯერაც რომ მიწევს ვუხადო გადასახადი.
ქალაქი არის ყველა ის ქალი მე რომ არ ვიცნობ
რომ ვთქვა სულ მცირე ანდა ავტობუსები
იქით სადაც არ წავალ,
ბარებს ახრჩობს რასაც არ დავლევ.
ჯერაც ჩემს კალთაში ზიხარ ჰოდა აწიე ჩემი
ხელი

შენი სვიტრის ქვეშ ჩვენი თვალები რომ
ათბობენ კოგნიტიური ურთიერთობით
ვიდრე დაპრუნდება კიდევ ერთი ცისკარი.
ჩვენ არ ვართ მოსახლეობა,
ჩვენ თითო-თითოდ არსებები ვართ,
არა ინდივიდუალები, არამედ მარჯვედ
სხვადასხვა.

"იდუმალი, როგორ ყველა სხვა."
ხარბი აღმამსვლელები, დიდებით
აბრეშუმმოსილები.
ჩვენი გულები ზუსტად თქვენისნაირებია

მეუბნები შენ - მაგრამ არა ქალაქი,
რომელიც ჯამია მხოლოდ მთელი ჩვენი
უცოდინრობის.

თუკი საქმე აქამდე მივა
მოგიწევს ჩემთან დაწვე
რომ იცოდე რას ვგულსხმობ ანდა გამიშვა?

თუ დატოვებდა ბოლო გადახედვა
ტექსტს ისევე შთენილს
როგორც მწუხრის ვარსკვლავს ზუსტად
მანამ სანამ სავსე მთვარე ამოვა
ლურჯი მარტის ჟამს - აღარაფერი
გარდა სიტყვების და რასაც ნიშნავენ?
ამბავი მხოლოდ რომელიც არავის აამბებს,
უბინოდ, ცერემონიულად?
მინდა ჩავდგე შენსა და შენს
ტუჩებს შორის, შენს ნატიფ
დათმობებში ამ ენისადმი
რომელშიც ვიხრჩობით ჩვენი უანგბადისთვის.

(ძილი შორს იმისგან ვინც მიყვარს
არც ისე შორსაა, არაა მარტო
ისე როგორც მარტოა მარტო. სიტყვაა
ნათქვამი და გაგებული, პაუზა
სანამ რამე პასუხი მოვა.

ჩუსტი სავსე კრემით
ვარსკვლავებზე სასიარულოდ -
რა სადედოფლოს გვარნახობს ალღო
და ქმნიან შენი ბარძაყები
- ფერმკრთალი მესაზღვრეები - საუზმედ
ჭადრაკი ითამაშე და
მთელი ღამე ისუნთქე ზენრების მსუბუქი
ღვინო და იყავი
უხვი როგორც ნებისმიერი აპალუზაა
მდელოებისთვის, ნებისმიერი ფოლადი
ირიბულიანი ხიდებისთვის ჩიტებით
დახუნძლული ესტუარის თავზე,
ვარხვები, ღორიხვები, ქარიშხალები,
კაცი არის ცხოველი რომელიც ქალაქებში
იყურება და ცხოვრობს, დიდებას
პარავს მოცახცახე ლექსიკონს -
ხოლო ლტოლვა მტრედია უსაფრთხოდ
ნებისმიერ სახურვაზე, ნებისმიერი

სამრეკლოს

თავზე გააღე ეკლესია
და სად არიან აქ
შენს ხელებში აგრეთვე მოვდივარ.

არსად მივყავარ. გარეთ თოვლ-ჭყაპი მოდის
და ჭკუა იტენება უგემოვნობებით,

კომბინაციებით და მსგავსებებით, მდარე
ინტერპრეტაციების ნადიმი, წირპლიანი
წვიმაში მბზინავი თანამედროვე რიტორიკა.
ყოველთვის დაყუდებული უცხო ენებში,
ან იქნებ თოვლია. ნელა დავიძარი შინისკენ
მთაზე დავეშვი და მდინარის პირას
ვინმე ქერა მოგზაურთა ხატებად
რომელსაც არ დავთანხმდებოდი, რომც

შემძლებოდა -

გულს აქვს სისპეტაკე რომლისაც გონებას
შეშურდებოდა.

მომე ალმასი რათა შენ მოგცე.
ასწავლე წყალი როგორ ეჭიროს და ნათელი
ტეხოს

ლურჯი დაპირებებით. გაელვება გაელვებაზე!
სურვილები ის ველურებია გარს რომ
გერტყმიან,

თავაზიანი მაგრამ დაუინებული,
დანებივით უმანკოები,
ეს ნივთები, ჩემს ცოდნას რომ განაგრძობენ.
ფანტაზიები გიცავენ იმისგან
რომ ნამდვილი ნამდვილად არ აღიქვა -
რადგან იძვრიან, და ეს მოძრაობა
ნამდვილია თუმც კი მოძრავი არაა ნამდვილი
და ის დაძვრება მიწაგამოთხრა ლანდშაფტში

ცხელ ლანდებს დასდევს. მაგრამ რა
ნათელი აჩრდილნი არიან, რაოდენ რბილი,
ფაფუკი თმებით.

ძვრა იძვრის. აბსოლუტური მტკიცება
დასამტკიცებელი აბსოლუტის გარეშე.
ნამდვილ სამყაროებს
წესები არ აქვთ,
მხოლოდ შედეგები.
არაა გემო
თავისი პირის გარეშე.

(თუ საკმარისად დიდხანს გაესაუბრები
გულწითელას ბალახზე
სანამ შენი გულისცემა და მისი ხტუნვები
სინქრონში არ მოვლენ
როდესაც ის - მეტად გულლაჟლაჟა, ზომით
იგივე - იპოვის
თავის მატლს, შენ რას იპოვი?
სიმონადირეობის
სუსხს, დილას საპონის გარეშე,
შეგრძნებას რომ არავინ ხარ, მაშასადამე
სუფთა და ნამდვილი,
ნამდვილი, ვითარცა სითბო და სიცივე, ანდა
ნივთები რომლებიც მიღიმოდიან.)

ის, რომელსაც უსმინე, ხმამაღლა რომ
კითხულობდა რადიოში
ღრუბელი იყო. სველი აპკი პარმალის თავზე
მოგვიანებით
მისი იდეა იყო. არაფერი დაშავდება თუ მას
ღმერთს უწოდებ
თუ გაიაზრებ რომ ღმერთებსაც აქვთ
თავიანთი შეზღუდვები
არ ძალუძთ, მაგალითად, საუზმეზე ღორი
მიირთვან, ან იმარხულონ
შენი შეყვარებულივით, მწვანე თიხასა და
ფსილიუმის ფესვებზე.
ან მოუხერხონ რამე სამყაროს ტანჯვას
ბოლოს თავადაც
რომ გაიზიარებენ, ვაგნერთანაც კი, მაშინაც კი
როცა მათ აბრეშუმის ფარჩებს სასაცილო
სუნი ასდით და მათ ძმა-ბიჭებს
განვლილი შეთანხმებები აგონდებათ და
სამოთხის ხეების
ატმებიც კი მწარერბილად ცვივა მკვდარ
ბალახებზე.
ილოცე საბრალო ღმერთისთვის, რომ
გვანუგეშებს სანამ ძალუძს,
ქარი და წვიმა, ერთი-ორი ბრძნული შენიშვნა
ჭექა-ქუხილი ჩაივლის.

შეათვალიერე ცხოველთა ნაკვალევი. ღამით
რომ ჩაივლი,
ვარსკვლავების ფაქიზ შუქზე კითხვისას
საით შევუხვიო
როდესაც ნამდვილი გასასვლელი არსადაა.
ნახე, როგორ ირბინო.
ფიჭვის ხის ქვეშ ნაკვალევმა გამოსცა, ქარის
დაბერვა
თოვლში, მერე აღარაფერი. სად წავიდა,
ასეთი დიდი ცხოველი, დაჭრილი შველი,
მონადირეების
მიერ დაკარგული, საკუთარი
ყურადღებაგაფანტულობა რომ გადაიტანეს
და, სულაც, თავიდანვე არ იყვნენ
მასავით ჭკვიანები? სად მიდის, ბოლოს და
ბოლოს, ცხოველი?

ფორმა დახსნილი მოკვლისა და წადილისაგან,
ფორმა დახსნილი შიშისგან. ერთი თეთრი
ნარგიზი
და მერე შემდეგი, და შემდეგი, და მას
ვუყვარვარ.
წელიწადის დროებისთვის ჩვენ ნებისმიერ
დამჯერ მხეცს ვგავართ.
განუსაზღვრელი ბმულები იმასთან რაც
განგვსაზღვრავს,

მომიჯნავე გამოყოფა, ვინმე სულელმა პაპმა
რომ შემოგვთავაზა
- როგორც ესპანეთსა და პორტუგალიას
შორის რომელიც ყოფს
ნივთს სახელად სხეული სამყაროსგან
სახელად სული.
და სხვადასხვანი ვართ, ხოტბათა ხუთი
გროვა, ხუთი
გროვა იმ განუსაზღვრავი ბოშა გასხვავების
ჩვენსას რომ ვეძახით.
რამდენი სხეულია საჭირო, რათა ვიყო მე, და
რაც ეს არის
თითქმის საერთოდ არავინაა. არ არსებობს
ფილოსოფიის
მითის მსგავსი სიგიურე. არცერთი დასაჯდომი
ზოლიდან
არცერთი თვითმფრინავი არ ფრინდება
არასაიდისკენ,

უსასრულო მოსახლეობის ჯუნგლი პირები,
ჭორაობის მინდვრული შედეგები.
ადგილობრივი ისტორია.
დრო იყო კაცი, რომელიც. იყო უსაქმური ბიჭი
რომელიც გაიზარდა და გახდა კაცი რომელიც
არასდროს ისვენებდა.

მე გადავყურებ ამ ზაფხულის გრძელ,
განვლილ დღეებს
როცა სიზმრების და ჭამის და კითხვის გარდა
არაფერს ვშვებოდი,
ვიმართებოდი ნაზმანებ ჰაერში, უკან
ვიხედებოდი როგორც
ცხოვრების შემდეგ გონება გახედავდა უკან
შემთხვევითი თანამგრძნობი ნოსტალგიით
სულაც ალერსით
ნაზ ტლანქ სხეულს რომელმაც ამდენი
გასაჭირი დაატეხა თავს.

ყოველთვის არის გონებაში ეული სახლი
სადაც სევდა სუფევს და შავი ჩიტები მოდიან
მხოლოდ ახალი ამბების მოსატანად.
სანდახან წითელი
საკერებლები მათ ფრთებზე გვაგონებენ რომ
გაზაფხული
ჯერაც ხელმისაწვდომია ის მართლა არის ჭიქა
ივსება და ცარიელდება ცა
ყოველთვის ცარიელია. ესაა მისი ძლვენი
ჩვენდამი,
მისი ხელოვნება, ეს სიცარიელე,

რათა გვქონდეს სამყაროს ქმედითი ცოდნა.

პატარა თაბაშირი მოჩუქურთმებული, რათა
ჩიტს ჰგავდეს
სტვენით კუდში. სამხრეთ ამერიკული.
რთულია ბერვა, რბილი ფშვინვიერი სტვენა.
თითქოს თვით ჩიტი შემობრუნდაო
იმის დასანახად, რასაც ჩვენი შეშლილი
ტუჩები შვრებიან ახლა.
ეგვიპტური ასო ა-ს მსგავსი ჩიტი,
ხშული ყიაში, ნარინჯისფერი ნისკარტი,
დუნე თვალი,
ერთი სუბსტანციის კლდეზე მოთავსებული
საკუთარ თავთან, უკუმხედველი, სრული.

შენ ის თითქმის არ გესმის გვერდით ოთახში
მხოლოდ იცი რომ რაღაც უჩვეულო
ხდება. ვიღაც გეძახის

ცხენების შესრულებულისას

1.

როდესაც ქალთან გატარებული დამის
შემდეგ იღვიძებ
მიუხედავად იმისა, თავად ხარ თუ არა ქალი,
სულ რამდენიმე საკითხიღა რჩება
განსახილველი:

მზის საკითხი, ფულის საკითხი,
და ცხენების საკითხი. ისინი ოფლისგან
განაცრისფრებულან, მიუხედავად მათი
ფერისა სიზმარში
(როგორც ჩემი თმების ქოჩორა თავი,
trop de parole, მეტისმეტად მრავალი წლის
ლაპარაკი და ლაპარაკი განაცრისფრდა)
სამი საკითხი (როგორც შუა საუკუნეებისები
- როგორც მათ მარლენი უწოდებს -
ეთაყვანებოდნენ

სიყვარულის სამ დიდ ციკლს:
სამ matières-ს: ანტიკურობის (ელენე, აიაქსი,
ალექსანდრე, ოქროს საწმისი), საფრანგეთის
(როლანი და იუონი და შარლემანი),
და ბრიტანეთის საკითხი (გვინევერი
და მისი გამქრქალი, გამქრალი თასი,
რომლის საძიებლადაც ამდენი ლამაზი ჭაბუკი
გაშურებულა)

ბოდიში ლექციისთვის. როდესაც იღვიძებ
 რაც არ უნდა იყოს ქალი, იმასთან
 გატარებული ღამის შემდეგ
 - ორივენი ინახავთ თქვენ-თქვენს
 საიდუმლოს,
 სველია ნაზიარები ტუჩიები, ერთის მუხლი
 მეორის მუხლში - ხართ, რა თქმა უნდა
 ერთმანეთის დედა - უნდა გაუძლოთ
 მიმართულებებს და მოგიწევთ განაგრძოთ
 მათი გაძლება,
 სიზმრის მითითებათა დაფხრენილი
 სახელმძღვანელო
 რომელიც სამყაროს მართავს, რომ გაგეღვიძა
 მის ნაფლეთებს ებლაუჭებოდი, როგორ
 მოხვდე იქ,

ვინ გაიყოლო, ვინ მოგეშველება,
 რა ჩიტებს უსმინო, რა დრაკონები
 მოასვენო, პატივისცემით,
 და შენ დაკარგე ეგ გვერდი, რუკა გაქრა,
 ფული არ გაქვს და გეღვიძება
 ქალთან გატარებული ღამისგან და წასული ხარ,
 ისევ გრინფოინთი, და შენც მოწეულივით
 გაყევი
 არასწორ მეტროს არასწორ სადგურზე და
 უეცრად

ვეღარ იხსენებ იმ კაცის ქუჩას
- ნამდვილად კაცია - რატომ წვალობ,
რატომ მიდიხარ იმსიშორეს, რომ კაცს
ესტუმრო - არც ახალგაზრდას
არც ბებერს, შავს არც თეთრს, რატომ - და
რატომ
უნდა იყოს პიედრას ნეგრას ქუჩა ბრუკლინში
და მერე გახსენდება: ეს ალვარადოა!
მაგრამ ავტობუსს ვერ აგნებ და ქალი
ტაქსის გაჩერებას ცდილობს და შეუძლია
გაგიყოლოს

- უეცრად ინვალიდის სავარძელში ხარ
ამიტომ მას შენი არ ეშინია - ისე
რომ ეს აზრი დიდად არ აღაფრთოვანებს
მაგრამ რაღაც უცნაურია მის სახეში,
და სანამ თქვენ ორნი - ისევ, თქვენ
ორნი, დიდ სამყაროში დაკარგულები -
ტაქსის შეამჩნევთ, აცნობიერებ,
მისი სახლის ნომერი დაგვიწყნია,
ეს მისტიკური შარლატანი, მესამე სამყაროს
მესია

რამსიშორეს წამოხვედი - რამსიშორეს? -
მეტროთი
მგზავრობაა შორი გზა? პირველად სად
ჩახვედი მიწისქვეშაში, ეგვიპტეში? ო
სიყვარულო

მიჭირავს ჩემი საკუთარი ხელი და
სიყვარულისთვის ვლოცულობა -
რამსიშორესაა, არ გაირჩევა, და ყველა შენობა
მის უბანში ერთნაირია - ამდენი
კი გახსოვს - ექვსსართულიანი კორპუსები
ულიფტო შენობები საამური ვესტიბიულებით
ცივილიზაციის ცისკრიდან -
და ნემსების პარკი - მაკრალაცა -
არც ისე შორსაა. ეს ყოველივე
მზის საკითხია, ის, რასაც
გაღატაკებას ვუწოდებთ: რასაც დაათრევ
მასავით, სიბნელიდან, ჰორიზონტის გადაღმა
და მთელი დღე ცდილობრამე აზრი გამოიტანო,
ეს შენ და ეს ის, შიდა და გარე,
ტვირთი. ფულისა მე არაფერი ვიცი.
და ცხენები ნაცრისფრები არიან ოფლისგან,
მშრალწებოვანი,
შაქარს ჭამენ, ჯუნგლებში ზოლები აცვიათ,
ცხენები თხებს ჭამენ, თხები ჩიტებს იჭერენ,
თევზები ცურავენ. ამდენი კი ვიცი.
ცეცხლი დაფრინავს. წყალს ავიწყდება.

ყოველივე

თავის ადგილას. კუნძული. ქალებთან
ძილი. მაგრამ ცხენების საკითხი
ლამაზი ფულია დღესდღეისობით, რაინბექელი

კონდოტიერების ამწვანებული
მიმოფანტულობა,
ჩემი თუჯის საცირკო ვაგონი როდესაც
ხუთის ვიყავი:
ორი მძიმე მბზინავი გლუვი თეთრი ცხენი
ექაჩებოდა
ნითელ გალიას მოიქრული ბორბლებით - და
საზიდარში
ლომი ღრიალებდა, მე ის მოვიმწყვდიე
ჩემს სხვა ცხოველთაგან
- იმათგან, ფერმკრთალ მუცლებზე
საფრანგეთი
ან ავსტრია რომ ამობურცვოდათ -
სირაქლემა, ნიანგი,
სპილო, დათვი - და ეს ლომი,
ბრიტანეთის ნაქმი, მეფის ღრიალი მისი
თასიდან,
გრაალი ჩაკარგული ზაფხულის ვარსკვლავებში,
მე ის შევიპყარი და ჩემით ჩავსვი გალიაში!
ო მარადნაყოფიერი დაბნეულობა რომელსაც
ძვირფას სამყაროს ვუწოდებთ!
ო მბრუნავმდინარე რწმენები და
სპონტანური თეოლოგიები,
ო დროის ღრმულში მოტყლაშუნე ფული
მაგარი, როგორც ტუალეტის სატუმბი

ჩახერგილ ქალაქს რომ უეცრად აქრობს -
 მაგრამ ამისა არაფერი ვიცი, არაფერი
 ფულის შესახებ, ნახე პაუნდს რა დამართა,
 აჯობებს ცხენებზე ვილაპარაკო, ზღვის
 ქაფისგან
 განაცრისფრებულებზე, სურვილისგან
 გაოფლილებზე,
 მეტისმეტად ბევრი დრო, ბინდები, ვინმე
 გიყვარდეს,
 les crépuscules de chevaux უფერმკრთალესი
 საათებია,
 თუთუბოების ფონზე თეთრი მანათობელი
 ცხენი.

2

როდესაც ქალთან გატარებული ღამის
 შემდეგ იღვიძებ
 როგორც წესი ფული ჯიბეში უნდა ჩაიდო,
 ცხენს შეაჯდე და მზიურქმნილებას მიაშურო
 თან მთელი ეს დრო სხვათა ცხენებს
 შეისწავლიდე.

როგორ დადიან. რა ფერები აქვთ,
 რა მიზეზები. სიზმრიდან არაფერი გახსოვს,
 ან არაფერი იმსახურებდა ამას. ყველა ციფრი
 მცდარია, იფიქრე ამაზე, მცდარია და არაფერს

ითვლის, ან არაფრად ითვლება. ციფრი
სახლი არაა. რომც ყოფილიყო ახლა მას ვერ
აგნებ,

ვერ აგნებ ქუჩას ან სახლს ან კარს
და ქალი რომლის სახესაც რაღაც სჭირს
მუდამ შენს გვერდითაა, შენთან ერთად
 მიაჭენებს
მცდარი მიმართულებით. ყველა მათგანი ასეა.
შენ ისევ და ისევ ვიღაც სხვა ქალის სახელს
 გაიძახი,
იმის, ვისთან ერთადაც გინდა, იყო როცა
 წასული ხარ,
გაღვიძებული, მაგრამ ქალებთან ძილი
 იშვიათად
გაძლევს შესაძლებლობას, გეღვიძოს. შაქარი
ყავაში, თმა შენს თმაზე,
ქალის სახელი შენს პირში - ესეც
წინდებულები - მისი მძლავრი
მარცვლები გორავენ შენს ყბებში. შენს
 სიზმარში
შენ იყავი რუხი ცხენები, შენ ეზიდებოდი
 შენს თავს
მტკივნეული მონადინებით ცეცხლიდან
 ცეცხლისკენ.
მოტივი: იზრუნე ხალხზე. ჩააქვრე ცეცხლები

კორპუსებში. კოხტად გამოიყურებოდე
საექსუალური ოფლით
გაქაფულ მკვირცხლ ქუჩებში. ლექსები უკითხე
ყურებს მეტისმეტად იოლად რომ თაფლავს
შენი ყურადღების თბილი სუნთქვა. იღვიძე.
მაგრამ გაღვიძება
იოლი არაა, როგორ ჩამომიგრძელდა ამ ბოლო
დროს
ყურები, რბილი და ფაფუკი, როგორ
ჩამოგიგრძელდა
ლექსები. ეს ქუჩა მზესთან შესახვედრად
იღუნება.
კვლავ კუნძულზე ხარ, ერთზე შენს
მრავალთაგან
შენი ცხოვრების ამ ანტიკურ არქიპელაგში.
როცა ძალიან პატარა ბიჭი იყავი ცხენები ჯერ
კიდევ დაფრინავდნენ,
იმის უმეტესობას, რასაც ჭამდი, თევზის
გემო ჰქონდა, აფრიკა
ახლოს იყო, მოლუსკებს იმავე მთლიანი
ზღვის გემო ჰქონდათ
რომლებზეც წლების მერე ქალს სთხოვდი
უსაფრთხოდ მოეტანა შენთვის თავისი
ხელით. თითქმის შუადღეა
და სიზმარი ნამდვილ ტვირთად გექცა, რა
გასაკვირია

რომ სიზმრები არ გიყვარს, რა გასაკვირია
რომ ცხენებს
ყოველთვის ასეთი დამფრთხალი იერი აქვთ,
მათი ვეება მგორავი
თვალებით, მაგრამ მათ უზომო ნებისყოფას
ფეხზე მყარად უჭირავს მათი წმინდა

გალეული ფეხები.

რა საშიში რამეა ეს ფული, იწვის,
ცეცხლი ჯიბეში, ჩიტებს კლავს, თევზებს ჭამს,
ქუჩებში მიცურავს და ციფრებს იმახსოვრებს.
ფული არასდროს ივიწყებს სახლს, რომელშიც
ის ცხოვრობს,
კაცი, რომელიც, ჯერაც ფიქრობ, გსურს,
გამოხვიდე.

ან გსურს, გამოსულიყავი.
ლურჯიერა, ნიჟარასავით შტერი,
პირდალებული, განგაშისგან დაცლილი.
საერთოდ

თუ დატოვე უკვე სიზმარი,
საერთოდ ის ხარ ვინც სიზმარს ხედავდა?
ცდილობ

დილის ნაფეხურების პოვნას
შენს წინ, უბრალოდ რამე, რომ გაჰყვე, ეფერები
ბრწყინვალე ურწმუნოებებს, რომლებიც
გათავისუფლებენ.

ნათელში

სად გიხილე მე შენ? შემცდარ ნათელში
უნარსა და შესრულებას შორის

პროტესტანტულ ნათელში ასე რომ ვაფასებ
მტვრიან მეწამულში, მაღალი ეკლესიის
მოკრძალებული შუქის ნათელში,
ნაკრძალის ნათელში, ნაღდ მყოფობაში,

თანაყოფნის პროტესტანტულ ნათელში,
ნათლის თანამყოფობაში, ნათელი
მუდამ შესაბამისია

ნათელში სურვილსა და შესრულებას შორის,
შემცდარ ნათელში
წესსა და წინადადებას შორის, ცივ
ნათელში კამინშტაინის კავეულობის თავზე,
დაღუპულ ქორწინებებში, ანტიკურია ყველა
ჩვენი ზეთის

ბუნება, თხისგან დაღრღნილი,
სახატავ ნათელში
სურვილსა და სურვილის გამოხატულებას
შორის,

ეპარქიულ ნათელში
რომელიც გაიძულებს, გაიძრო შენი იისფერი
ზედა
და მაინც, შენი კანი კვლავ ამ ფერს გასცემს,
დილის ნათელში, თოვლიანი გარედან რომ
შემოდის
თოვლის ნათელში საფრთხესა და სურვილს
შორის,
რამეთუ ლტოლვა განდევნის შიშს
სამხრეთ კენსინგტონის თავაზიან ნათელში
მუზეუმსა და იმას შორის, რასაც ის გვაჩვენებს,
რეპლიკასა და ორიგინალს შორის, კარი,
ნათელი კარის, ნათელი შენი იისფერი
არეოლების ჩემი პირის ფლეიტურ ნათელში
მათ რომ მჭიდროდ კოცნის, ნათელში
რომელიც დადის ჩვენში ჩვენს ენებში ჩვენ
ხელებში
გამსჭვალავ ნათელში
შეიქერთაუნსა და ჰაროდსბურგს შორის,
მთის ნათელში,
ღვინის ჭიქაში ჩამდგარ ნათელში,
ღვინის რომელსაც არასოდეს ვსვამ,
არყოფნის ნათელში,
სადაა შენი პირი ჩემთვის

არყოფნის ნათელში ვლოცულობ ყოველი
სიშორე
იქცეს ჩვენს ერთიან სახლად, ქვის საკვამური
მწველი შეშის ნათელში, ნათელი
სინტაქსა და განზრახვას შორის,
ნათელი იმას შორის, თუ როგორ აღმაგზნებ
და მე რას გპასუხობ,
მოლოდინის ალისფერი ნათელი, სავაჭრო
შეთანხმებათა
რბილ ნათელში, თოვლიანი გარეუბნების
საამური რესტორნების ფულიან, ნაგვიმრებ
ნათელში,

ლესბოსურ ნათელში, ყველა ქალს რომ ეხება,
ნათელში, რომელიც გაგნებს,
დაუთანხმებლობის
ნარინჯისფერ ნათელში, ლამბდა ნათელი,
ლალისფერი
ნათელი რომელსაც კათოლიკურ ეკლესიებში
ასხამენ, ჭიქებში,
მარიამ ნათელში, ლურჯ ნათელში, ტყავის
ყავისფერ ნათელში, სწავლების ნათელში,
ყვითელი ყვავილები საღებავი მათრახას
ნათელში,

შენ რომ მაძლევ იმ წიგნის ნათელში
შენი სიყვარულის მიერ ჩემი გაგების ნათელში
ჩემი მიმღები სიბნელის ნათელში -

და ნავმისადგომის მეორე პოლოში,
ნაწილი სახელად ბნელი,
არსებობს ნათელი რომელიც ახლა ყველამ იცის
თუმცა ყველა მიდის მასთან და ის არის
ყველა სხეულში. მცოდნეებმა იციან
და მყოფები არიან.

აქ ტალღები ბასრია,
ქვედა ცაზე ამოტვიფრული პირები,
ნათელში ნაკვეთი ნათელი,
ინტალიო ნათელი, რომელიც ღრუბლებში

მოჩანს,

თავსხმა წვიმის ქარვა ნათელი, მეწამული
ნათელი ზუსტად მზის ჩასვლამდე, ირიბი
ნათელი,

დედა ნათელი რომელიც არაფერს ხედავს
დედა ნათელი რომელიც შეუნდობს ყველას
დედა ნათელი, რომელიც ჭრის, ან დაჭრილი
ნათელი
ხორცი ნათელი, ბერძნული ნათელი,
თვალის ნათელი კანის ნათელია, უძველესი

ენების ნათელი რომლებსაც მეტყველებ,
დაბალწელა ნათელი, ნათელი სარტყელის შენს
წელზე,

ვერცხლისფერი ძაფის ნათელი აბრეშუმში,
ნათელი დედამიწის გარშემო, ზონური
ნათელი,
კომიკური სინათლით სავსე ტრაგედიის სახლი,
მე შენს ნათელზე ხელგადახვეული რას ხედავ,

ხის ნათელი თოვლის ნათელი ყველაფერს
გადარეცხავს ეს ოკეანე რომელსაც ახლა
უწოდებენ ღამეს
მე მას არაფერს ვუწოდებ ის მე ვერ
მხედავს მპატიობს ალერსს,
ქალწული ნათელი, შესახებადი, ალამივით
წმინდა, სპეტაკი ვითარცა უცნობი სიტყვა
შენი პირის მიერ ნათქვამი უცნობ ენაზე,

თქვი, ჩემი ძილივით სუფთა, წმინდა ნათელი
და ჩრდილოური ზღვის ნათელი, წმინდა
ნათელი და კალიფორნიული ნათელი, ნათელი
ყოველი ქუჩის რომელიც კი ოდესმე მცოდნია,
ნათელი ყოველი სახლის და ყველა მანქანის
ნათელი,

ტკივილ ნათელი, ნათელი დამსხვრეულ ანდა
მთელ ძვლებში,
გაგებული აზრების იაფფასიანი ნათელი,
ავი ნათელი რაც მსურს იმის მიღების, ნდომის
მძვინვარე ნათელი, უცნობი გზების
ძვირფასი ნათელი,
ვინმე კართან მოსულის ნათელი.

პაცს სძინავს

ეძღვნება შარლოტს

მას ერთი საათით ეძინა და ოკეანე იცვალა
მას კოშკები ესიზმრებოდა და ქვიშა
დასავლეთით გადაიჭიმა
მისი კიდევ ერთ კონტინენტს მიკუთვნების
მცდელობით.

სპილოები და საპირზონე. სავაჭრო კოშკები,
მინარეთები.

მათ სურდათ მისი მტრედებით სავსე სახელო
და მისმა სურვილმა უნდა ინატიფოს ვითარცა
ბაყაყის ქვირითობამ

მშრალმა შუადღის ხვატში.

მას არაფერი სურდა იქიდან რაც მათ სურდათ
მისგან,

კვლავ დაეძინა როგორც ნავ უმაგალითოს
თავთხელზე შერიყულს, გაცურულს ამ
თევზებისგუნდა კუნძულიდან
სავსეს ბიბლიებით და ჰოლანდიური ყველით
და გაბარდინით.

მისი წითელი თავის ქალები კვირის მანძილზე
კლდეში გაჭედილიყვნენ
სანამ თოლიებმა და ამინდმა არ გააღვიძეს

დურგლის ხვევნიდან გამობმულებმა
- ვისი ენა მეტყველებდა ასე სწრაფად მის
პირში? -

ხევარ თუ წყალი? ნეკერჩხლის წვივები,
თეძოები ზღვისპირა ვარდების, ის იყო
სამოთხე.

ქალი გახვეული ჯუთისფერ კაბაში.
და კიდევ ცოტა მეტად იღვიძა. მეტწილად
ცეცხლი.

მეტწილად ჰაერი. ჰაერი, ჰირველ ყოვლისა,
ელემენტები იყო, მოძრაობა სანამ რამეობა.
დილა სანამ მარტოხელა კაცი წავა

სამსახურში -

მას ეღვიძებოდა და ეღვიძებოდა, ერთი-ორი
რამ ლამის ცხადი.

შემოქმედი არ არსებობს, თუმც შემქმნელი
სული

მოდის დროდადრო და გვიპატიუებს
შიგნიდან გარეთ ჩვენსავე სამყაროში.
ქმნის ისე სწრაფად რაოდენ სწრაფადაც ჩვენ
ძალგვიძს ფიქრი.

რა ენაზე იყო დაწერილი წიგნი რომელიც
არასდროს გადაშალე?

ვინ იყო დედა კარისა? ნათელი იყო,
აგრეთვე, გავლენის ურთიერთმოქმედი
ქსელი, დღეა შენი დედამამა,

ღამე შვილია შენი რომელიც სიზმრად
გაგრძელებს
დროის თვინიერ მარადისობაში. მზე შენი
პატარა ცუგაა.
რა გასაკვირია, მეფეებს ეშინიათ დაძინებისა
და თავიანთი ასულები სძულთ.
ორიოდ საათის მანძილზე ეძინა
და მზემ ზღვას უკბინა, დასწვა რაც ხედავს
სანამ ყურება ერთგვარ ბნელ სინანულად არ
იქცევა.
ჩუმი ჩიტები აწუხებდნენ არსებებს ის რომ
ვერ ხედავდა.
თავგანწირული ლოიალისტები ამბოხებას
აპირწონებდნენ წიფლის ტყეებში.
კურდლელი კოჭლობს ჩრდილის
მიმართულებით,
კუნძულზე არაა არცერთი რელიგია.
ფულზე ხელს არავინ აიღებს, რევოლუცია
სარკეებს ამსხვრევს მხოლოდ,
არ ცვლის სინათლის უსასრულო იმპერიას,
შუშის ყოველი სისხლით ნალაფი ვერცხლი
ჯერაც ირეკლავს
ამ ერთცხოვრება სამყაროს გაუსაძლის
უსამართლობას.
მას გაეღვიძა და იცოდა ეს რაღაც სხვა უნდა
ყოფილიყო,

უნდა ხილულიყო დათესილი რამე სხვა
ზაფხულში
ახლა რომ ვიმკით. თუ არა და მნიშვნელობები
ჩვენი გონიერის ფული იყო მხოლოდ.
ყოველი აზრი ნუგებისცემაა და ბრაზიანი კაცი.
მას გვიან გაეღვიძა და ტაქსით წავიდა
სამსახურში.
ის ყვითლად მიიჩქაროდა სანაპიროს ქვეშის
სიღრმეზე,
თავი სტკიოდა ასე ცოტა ძილისგან.
ეღვიძებოდა და ეღვიძებოდა, მთელი მისი
სიცოცხლე უსასრულო
რაღაც, ღრეობა, კუნტრუში, კარტუში მისი
სახელი
მყარად ნაჭერი ვიღაცის ცხვირსახოცში,
ქამანდი,
ტაქსიმ გადაკვეთა ავაზებისგან უსაფრთხო
ალმოდებული ტრამალები
და მიაღწია ჩრდილო ბიზნეს უბანს
მას თვალები უხურდა სიღიავით ბიჭების
ყურებით
გადმოგორდა და რასელი დატოვა საზღაურის
გადასახდელად
მისი გრძელი პალ მალის სიგარეტებით მისი
ჩავარდნილი შუალამით. მას გაეღვიძა და
იქაურობა ქედმაღლობდა

ნებისმიერი კუნძულის მსგავსად. დრუიდები
და ეშვნენ საფრთხე-გაბედულებით
ქვედა ღრუბლებზე შემომჯდარი იისფერი
შხუნებიდან

- ახლა ავალონის ქვეშ ზღვის ქვების კედელი
სქლად ნაშენები მხილველური როდინით
აკავებდა ჯერაცმოყვავილე იასამნის ტევრებს
ივნისისებრ და მასში ბეღურისებრ გვიან
და ეჭორავა გამვლელ ახალგაზრდა ცოლს
და იხვი გადარბის ზღვის სანაპიროს სიგრძეზე.
დღის შუქი გპატიობს. მძინარე კაცთა
სტამინა. მთელ
ჩვენს ენერგიას საჭიროებს მძინარედ დარჩენა
მაშინ როდესაც ამდენი ბრაზიანი სიარული
ხდება.

ამ ერთ ბოთლში ჩატენა მან თავისი
სასიცოცხლო ძივთი
და გაეღვიძა უცნაური შეგრძნებით ხელებში
თითქოს ვიღაცას ეჭირა ისინი. წნევა
შიგნიდან გარეთ. ვინ იღვიძებს?
სახლი კანაპიტსიტის ყელზე
გაპარული მზის ფონზე გამოკვეთილ ციხე-
სიმაგრეს ჰავას
მცირე ან ადგილობრივ ჩრდილობს,
ენერგიათა

ბასტილიას: მთელი სილამაზე შიშში
 ჩაკონებული. მას სამი საათის მერე
 გაეღვიძა, დარწმუნებულს, რომ ვიღაცა
 მომკვდარიყო,
 ბატონი ან ვინმე კეთილმოსურნე, მზის ყმა,
 იქნებ, ანდა გონების ტრფობა-სიკეთის
 რჩეული მხლებელი.
 ყოველ ჯერზე, როცა კი იღვიძებ, დიდი მეფე
 კვდება.

მას ოთხ საათში გაეღვიძა უკულმა
 ამობრუნებული პერანგით
 ქალწული გაუძლვა შადრევნისკენ, ან
 გაურბოდა
 მთებში, მან მოსვა იქიდან, რასაც კი
 მდინარეს მიაგნო,
 საგნები მწყურვალნი ბრუნდებიან
 მარადისობიდან
 გაიღვიძე დღე ხისგანაა დამზადებული
 ქალწული გარბოდა და ის შეყოვნდა მისთვის
 დამალვა რომ დაეცდია
 ღიმილი ზურგსუკან ყლორტებში დაკარგული
 ვერხვების ტყე თრთოდა ზღვის პირას
 ისინი, რათა დამახსოვრების ნებაც მიეცა
 უდავოდ მისი განზრახვა იყო

ჩასულიყო სიტყვათა შინაგან მხარემდე
 გაეხსნა ვარსკვლავებით დალაქული ცხიმიანი
 წითელი საფუთავები
 ჩვენ ლოცვაზე მოცინარი ზღვის ჩიტები
 იფუთებიან
 მებადურები ნისლიანი ნაპირების გაშიფვრას
 ცდილობენ
 გონება საბოლოო ჯამში ბედნიერია და ყველა
 სიამე
 მისი მარტოობიდან მოდის მოდის მისი
 ამბორიდან
 მას გაელვიძა გრანიტის
 მსხვილმარცვლოვანების კითხვით
 აქატის გლუვი მინიშნებებით სანაპიროზე
 გამორიყული განზომილება
 ზღვარგადასვლები კაცი ან ჩიტი
 მის საალერსოდ პოლიეთერის სიმრავლეები
 ნეპალელი ბიჭები თავმომწონედ დააბიჯებენ
 მონასტრის კართან
 მუსონების მოუნევადად ნოტიო სიგარეტები
 მთის ჰაერის ყლუპი და აღმასვლის
 გაჭირვებული ჩასუნთქვის სილრმე
 თვითგადარწმუნებულთა ბეიზბოლის კეპები
 გულცივი
 ზარადიანი კოსტუმებით. ორი ათასი წელია

მას მერე რაც ვანდეია და ის ბოლოს და
ბოლოს მიხვდა.
არავინ არასოდეს იმარჯვებს. მხოლოდ კარის
აქეთ-იქით სროლის პროცესია,
ყველა ჩვენგანი ნახმარი სამოსი გაცვეთილი
გადაგდებული
ჩალა და ხენჯი და შარდი რამე სხვა სხეულის
მძლავრად ასაშენებლად და გარეთ გავდივართ.
ვინაა სხეული რომელსაც ყველა ჩვენგანის
სიკვდილი ყიდულობს,
მეამბოხე და როალისტი თანაბრად, ჩვენი
შავები, თქვენი თეთრები?
მას ხუთი საათის მერე გაეღვიძა, მესრის
ძელების თავებს
ხედავდა ფანჯრიდან თუ ანტიკურ
მონუმენტებს ყინულოვანი მთის კენწეროზე,
მათი შორეულ ქანობზე
გაწოლილი ბლაგვი თავები გაჰყურებდნენ
ლია ზღვას
რომლიდანაც მოვიდა აქ სამყარო
მის შესახვედრად. ნუთუ კვლავ ჩიტია,
და როგორი, სადაა წიგნი რომელიც მან
გააღვიძა?
მას მოესმა ორასი მილის მოშორებით ხე
როგორ მოიჭრა

ის გული იყო მისი ცაცხვი ხალხი მისი ხე მისი
მადა.

სადაც გოლიათი თავის გრძნობებს ინახავდა.
როგორც ტყე ტირის, როგორც ქარი აღწევს
ჩვენს ტანსაცმელში.

ახლა სიგრილე ჩამოწვა მასში, მეტად
ეგვიპტე,
მზის კაშკაშზე რომ ხელი აიღო იცოდა
თევზები იქ იყვნენ
ისინი რომლებიც მას სურდა, წყვილები
მწკრივად, უცხო
ლმერთები ანდა ნორჩი ძალები, იცოდა იქ
იყვნენ

რადგან ენახა მათნაირები
ჯებირებზე დახეთქებულნი მკვდრები
პირდაფჩენილნი მთრთოლვარე ჰაერში
თითოეული ცამეტი კგ
და დანა პორტის უფროსის ხელში.
განმარტე მათი ზომების პირგადადებითი
წყობა, ფერის
ცრუმოძრაობა სანამ მზე მათ დაღუპვას
იკვლევდა.

სურს მათი თავისი ბავშვობის გზაზე ყოლა,
პიქშის რაგუ ან შემწვარი ვირთევზა, რა
სჯობს ამას,

ხეხე მიამიტი ელემენტები ბრძენი
ცხოველებისთვის
შენ რომ არ გებრძენებიან და ჭამე ისინი.
სიბრძნის ტუტისთვის,
კალიუმის კივილი მომაკვდავ უჯრედებში,
საკმაოდ დიდხანს რომ სძინებოდა მაშინ
მიხვდებოდა
ყველა სახეობის სრულ გენომს,
გრძელი გამოთვლით. მაგრამ ვერასდროს
იმას, ზოგს რატომ ართობდა მოკვლა,
ხელები რიცხვებით უცახცახებდა.

რიცხვებით?

შენსავე თავში მარტოს გძინავს.
მას ეძინა ტოსტერში კანჯოში ეძინა
რღვეულში
ორ ლურჯ კლდეს შორის ეკლესიის
სანაპიროზე
ზუსტად მანამდე სანამ ველურ ზღვის
ყაყაჩოებს მიადგები
კვერცხი ყვითელი მისი კეთილგანწყობის
თანაბარ ნათელში.
სისალის სურნელი მის საკიდზე გამშრალ
პერანგში
კიდევ ერთი მორიგი სუნია მხოლოდ.
ამოარჩევდი?

თეთრი ბაჩები. გოლფის მანქანამ დაიღრინა
და ერთი-ორი გულწითელა გაფრინდა. მასში
ახლა

თითქმის სძინავს, ყმაწვილკაცების ძახილები
კუნძულის ქალთა შორეული ხითხითი
მათი ნელი მიმწუხრის ბოლოს და ბოლოს
მის ტუჩებში ლუდლუდი. ორნამენტები.
რა უნდა იყოს ეს ორნამენტი თუ არა

სიკვდილი ან ძილი?

მრისხანე მზერა ფერმერთალ მუხაზე,
ხედავს?

ექვსი საათის მანძილზე ეძინა გვერდმრუდი
მზე

ძალლს აწუხებდა თავში, რაღაცას აქვს
მნიშვნელობა
თუნდაც მისი სახლი არ იყოს. ვინაა სახლი?
რა არის ხე კუნძულზე? ვისია ახლა
გვირგვინი? გრეხილი რგოლი, ლიმონიტი
ბრტყელ ნაწილებზე

აურორას დედოფალს რომ თავზე ახურავს
მეექვსე სიბრძნის სახლში. გაზომე იგი,
რქასავით რომ იშხლართება საათიდან საათში.
ან როგორც ყანჩა. ანდა ცხენი ახტება
თხრილს სპანიელი იფხანება

მას დრო მიაქვს პირთან და ღრღნის, ის ეცემა
და არსად მიდის. არის საქმის მოგვარება
და მერე არის მერმისის ჩუმი წყლები.

როცა არავინ არსადაა გარდა იმ ადგილის

სადაც თავად არის

გადაჭიმული რაღაც საეჭვო ამბავში
არდაპრუნებული ჩიტების ხმაურით სავსე

პავილიონები, ბიჭი

მერხს რომ რაღაცას უშვება. პალტოს დამკიდი
ალვიძებს. არის ოთახები სამი გადაფრენის

თავზე

სადაც მას მერე რაც ბარები იხურებიან ის
წაიყვანეს

დალევის გასაგრძელებლად, მწარე წითელი
ლვინო მსხვილ ყავის ფინჯნებში

და უშნო ქალები ყველაფერს რომ ბრალს
სდებენ. განთიადს

იმ დღეს არაფერი ესაქმებოდა, ლვინო
ავი იყო, მაგრამ ქმედითი, თითქმის ქმედითი,
ხიდები ჯერაც გადებულიყვნენ

მდინარეებზე, ჯერაც მდინარეები, ჯერაც
მეტროები, ამათ ლვინო ვერ მოუვლიდა -
თუმც გადღაბნილ ნანგრევებად აქცევდა რაც
იქ იყო

მაინც იქ იყო. ლვინო სამყაროს აძველებს

და კაცებს აახალგაზრდავებს, ეგ
განსხვავებაა.
დავუშვათ, მან მთელი წელი კუნძულზე
იცხოვრა,
დავუშვათ, ცოცხალ ღობეში ცეკვები
იმართებოდა,
გველმა კანი დატოვა შენი კარის რაფაზე, და
არა ომი,
კიდევ ერთადერთი სტუმარი, ისარი
ნაზად გეკაკუნება ზურგიდან. დროის დინება.
ბოშა თოლია, გალუმპული ცეკვა ბურუს
თავსხმაში მაინც ცეკვაა,
ან ყველა ნატიფი მაღალი საათი როდესაც
ქარი პირს სწმენდს
მოყვარულ მუსიკოსებს, ფლუგელჰორნი და
კლარნეტი,
ზღვის ჩიტების კლეზმერი, შლეგები ყირაზე
გადადიან ტალღის ქოჩრებში
და შენ ქარის გარდა ვერაფერს ხედავ. ქცევა.
ნებისმიერ წამს შეეძლო შეჩერებულიყო და
უბრალოდ ეკითხა
მასწავლე იმდენი რამეა რაც არ ვიცი, აბა
საიდან,
რისთვისაა ჩემი სხეული და როგორ შემიძლია
რომ ის შენ მოგცე, ამიხსენი

როგორ ნიშნავს მედ ყოფნას შენსკენ
ნამოსვლა ან შენი
ვისკენაც მე მოვდივარ. მასწავლე რას
ნიშნავდა სიყვარული
ჩემი შექმნით. განმარტე გრძნობის ჭუჭყი
და როგორ განვბანო, რომელ ფურთუნში
გამოვევლო და განვიპანო?
ან მარილია თავად შიში, ხანგრძლივი
მაბინძურებელი?
განმარტე შიში. მაგრამ ის არ შეჩერებულა და
არასდროს უკითხავს.
მისი ძილი იყო ჩეიკვი და გატეხილი ბოთლი,
მისი ძილი იყო ნაპირი და მასში ჩატენილი
ქვები,
უსიამოვნება რომელსაც ეჩვევი, ტკივილი
მარადახალია. შვიდ საათში გაეღვიძა
და ბუკი სცემდა, სწორედ ის, თავად რომ ღუნა,
მთელი ღამე ლითონის ფილისგან რომ
ფორმირდებოდა,
სპილენძისა და მირიამის რაღაც მინადნობი,
ეგვიპტური
ტრანზიტი, მკლავები დასველებოდა
თეთრადქცეულ იდაყვებამდე.
დაკეცა და გამოიყვანა და ნაკერი მყარად
დარჩილა

მარადზრდადი გლუვი საყვირის ზარისპირის
მთელ გაყოლებაზე
ქანობი სახელად ისტორია. მთელი შვიდი
საათის მანძილზე გაგრძელდა
და მისი კანი იყო ისევე თეთრი, როგორც ხმა,
რომელსაც გამოსცემდა,
როცა ტუჩებს აჭერდა და მოხოცვის
ნაცვლად როგორლაც ჰაერის პირს
შეისლუკუნებდა
ისე თითქოს ცარიელ ფერზე შეგვეძლოს
ცხოვრება. ეს
რაღა დაავადებაა, გაიფიქრა მან
გაღვიძებისას,
ყანჩა უკვე წასულიყო და მისი ჩრდილის
კვალიც არ ჩანდა
რადგან ეს საყვირი მხოლოდ მართალთათვის
იყო,
როგორც მონაზონი, ზღვას რომ გაჰყურებს,
ქარი
რომ უბათქაშებს სამოსს, აბჯენს მის
გამოუვალ ფორმას,
ან როგორც ხის მორის წვა ბუხარში ან
ალკუნის ყვინთვა,
ამას ვერ გავეძევით, ყველა რასაც შვება,
იმას შვება.

თეოლოგები ყბედობდნენ მის გარშემო,
მომცრო
ხმის კაცები ვეება ტანებით, ყველაფერის
ან არაფრის მაღმერთებლები, ჩვეულებრივის
ანარქები, დაუმორჩილებლობის
კონუასერები, სახლს ამბობდნენ
ოჩოფეხებზე.
ეს მისი ბავშვობა ლაპარაკობდა. დანები და
ატმის ხეები,
სათევზაო სოფლები, ხიმინჯებზე
დაღუზებული ნავები
ამინდისგან გამტრედგავარდისფრებულ
კოხტა ქოხებქვეშ
სრულად ოპალისებრ ლივლივებდა მარილის
ტყე საღამოჟამს
როცა ის ილვიძებდა თავისი დებოშიდან და
ზღვას დაეკითხებოდა.

შვიდი საათის მანძილზე ეძინა
საიდუმლო ადგილები არსებობს მიწაში
და მთელი მისი მეცნიერება მათ შესახებ იყო
აქა-იქ გორაკი ან სანახი, ბეჭონის
ბუნკერი იმ ქალის მამის ომიდან რომ
შემორჩა.
ქალმა აჩვენა სად ინახავდნენ.

სანთლები ენთნენ მიწის ქვეშ და თხა
ბლაოდა შუალამის პირას, რომელსაც ვერავინ
პოულობდა.

როცა ასეთ ადგილს შეეჩებები
იმავე წამს მეტად იქ ხარ
ვიდრე ოდესმე გიგრძვნია და ამის შეხებით
ეხება ყველა ასეთ ადგილს. გეოპოეზია,
ივარაუდა ქალმა,

ჩვენ ვქმნით მიწას. კაცი მოწმობს. მას
აშინებს

საათის დაკარგვა, კეთილი საათი, როგორც
მეგობარი

უწოდებდა ბედნიერებას, დროისა და
ადგილის მიგნება

და სამუშაო რომელიც შენს ხელებს ერგება
და რომლის მომარჯვებაც შენს ხელებს
ძალუდთ. Bonheur. თხა

ქარი იყო, ზეთისხილი იყო ვერხვი, დაცემული
სვეტები

კართაგენივით მიმოიფანგნენ და კურდღელი
დაჯდა. მომნინკნე,

აგრეთვე, იყო მისი გონება. გამოიწვიე
ექსტაზი

მთელ ჩემს ბოტანიკას რომ კრუნჩხვაში
აგდებს. იხმარე ყველა ჩემი სიტყვა

და მე გამომივლე. მას ეს სიტყვა ერთი
ცხოვრების წინ უყვარდა
წყლის ხმა მის ხელში იწურებოდა ჭურჭლის
სუფთად დასარაბად. კარგი საათი გამოვლება
და ნაბიჯია.

წუთი წუთზე აიღებს ნისლი კონტინენტს
მაჯებზე მოპმული დაბალი ქარით, ასაძრომი
კიბეებით,

ცნობებით პორტუგალიიდან. მთელი
ცხოვრება ვეუნბებოდი
რა ლამაზები არიან ახლა მათ უნდა
იჩურჩულონ რომ მე ვარ.

მკაცრი ღერო. შაშვი მზის სხივით გაოგნებული.
თენდება. ყველა უურნალისტი ბოთლების
ძირებს ამოეფარა,
აჯანყებულმა პოლკოვნიკმა დაამთქნარა
კათედრალში, თვლემა
გაუკეთილშობილეს მოციმციმე ლურჯმა
სინათლეებმა. ეკლესია
მარად მიწისქვეშაა. და ამავდროულად
ჰაერში დგას.

ფოსი კატა დაეცა ფისო. ნაქსოსის ნაპირი
ციალებდა ამ ხელის შემშლელ ნისლში.
ნორჩი დედები სლუკუნებდნენ თავიანთ
ბაგებში. ჩვილო მზეო,

ჩვილო მზეო, აღმაღლდი ბურუსში და
შემირთე.
რა გულისამაჩუყებელია როგორ ადარდებს
ტურას
თავისი ნადავლი და მეტი არაფერი. ისწავლე
მიზანსწრაფულობა.
და მოკალი - ესაა გაკვეთილი? მას ეგონა,
გულკეთილი იყო
მაგრამ ახლა, როდესაც ბაყალი შემწვარ
ძროხის ხორცს ჭრიდა
და კონტინენტიდან შემოერთებულმა მშრალ
სიგარას გაუკიდა?
და შაშვმა შემოცურა? და რომ ასე
უჩვეულოდ გამოიყურებიან
ირმები მთაზე, როგორც ავსტრალიური
რამეები?
სოკრატე, ცხადია, რაღაცის აღსასრული იყო,
არა დასაწყისი.
საჯაროდ ასწავლიდა, და ახალგაზრდებს.
ამ ცვლილებებმა გამოიწვიეს ის უცნაური
სისტემა, რომელსაც ჩვენ ვუძლებთ,
იმის გამოცდა რაც აშკარაა. განა სანაცვლოდ
იმათ არ უნდა ვასწავლიდეთ
ვინც ყველაფერი იციან იმ ერთი პატარა
რამის გარდა

რომელიც თავად გამოვიცანით ან
მოგვაფიქრდა ან განვიცადეთ?
და განა სიბნელეში არ უნდა ვშვებოდეთ
ამას? სიზმარი
აკადემიათაგან ყველაზე უფრო ელიტურია
და მე მთელი ჩემი მეცნიერება და ჩემი
პოეზია ვახარჯე იმას
რომ ის ნაკლებ ასეთი ყოფილიყო, მოდი
ჩემთან,
მისმინე, სიზმარქმნილება, დემოკრატო.

რვა საათის მერე გაეღვიძა, პურის ჭამისას,
პატარა ჩიტების გასაფერადებელი წიგნი,
ვრცელი არხი ყანჩებით,
ჭაობის ბალახს უსტვენს მწვანე საღამოს
ნათელში, იხვი,
განა არ კმარა, დანა? რაღაც ამინდი
მოდის, ღამე საკმარისად გრძელია სამყაროს
შესაცვლელად.
ის მორცხვობდა ქალთან, უიმედო
(ბედნიერი), გამოეხატა
თავისი საჭიროებები (არა საჭიროებები),
ფერია ბებომ
რომ დაანათლა აკვანში ეგზომ საეჭვო
სურვილები

დიადი წელი და დღე და წიგნი და მღვიმე
ზღვა ქარი ეს ცისფერნაცრისფერი კოხტა
ნისლიც კი

არასდროს იქნებოდნენ

დამაკმაყოფილებლად საკმარისად დილა.

ვინაა იმის გამოცნობის წყევლა

იმაზე დაყრდნობით რაც სურს. ვის სურს?

ყველა ნანტუკეტელი

ალქაჯი ნაზ ქარს გამოჰკივის ბგერის

გადმოლმა, არხევს

მის ფიქრობას, როგორ ვაღწევთ ერთმანეთის

თავებში,

ვგრძნობ მის ფიქრებს. ალქაჯს სურს, რომ

კაცმა ადიდოს,

მსგავსი განდიდება ალქაჯის ერთადერთი

ვნებაა. სუსხიანი მამა, ალბათ

შეითვისე მტერი, უღალატე მეგობრებს.

სიზმრები ბიოგრაფიის მიმოფანტული

გვერდებია,

არავის ცხოვრება, ცეცხლმოკიდებული

წიგნი, სახლი სრულიად წყალქვეშ,

ცხენი ჰაერში მიიჩქარის, მანათობელი

შუქამტარი მიწა.

მიუშვი, იყოს, ის, რაც სიზმარმა გადაწყვიტა.

ბაგდოგრას ვეფხვები

უკვე რა ხანია რომ გამოუფხიზლდნენ
საფხრთხეს და ბანაკი აშალეს.
რაც გზად შეხვდათ სწორედ ის იყო ყველაზე
მნიშვნელოვანი
მათი უმეტესობისთვის, ნაჩვევად დავიწყება
რატომ
რისთვის მგზავრობდნენ და რა საეჭვო
მიზნისკენ
მიუყვებოდნენ ასე ლამაზად წყალმარჩხ
მდინარეს
დამჭკნარი თუთის, პისტაჩოს, წვიმისწყლის
თეთრის ფაფუკ სამოსებში.
მიწა უყურებდა მათ თავისი ცალი თვალით.
იყოფდა რა მცირე ოკეანურ ტურს, მას
ეღვიძებოდა და ეღვიძებოდა
მევეშაპეთა გრუხუნით და მეთევზეთა
ფუსფუსით და ესპანეთით
ცივი წვერებით თავის თითებზე ის თავის
თავს ეხებოდა
ნეკნებს ითვლიდა, მსოფლიოს წინასწარიამინდი
შესაბამისი იყო, შესაბამისობისგან მხსნელი,
მას გაეღვიძა და სპარსული ხალიჩა
ესაუბრებოდა ყვავილ-ყვავილ,
გაეღვიძა და აუქციონერი მისით ვაჭრობდა,
იაფად ჰყიდდა

უკანა რიგში მჯდარ ქალს ჩალის სავაჭრო
კალათით,
მის სახეს ვერ ხედავდა, გრძნობდა, როგორ
უმოწმებდნენ გვერდებს მისი წითელი
თითები,
მას გაეღვიძა და თავში ჰქონდა სახე მაგრამ
ვისი,
გაეღვიძა ენით რომელიც არ ესმოდა,
როცა ხალხი აუჩქარებლად ელაპარაკებოდა
ერთმანეთს,
რას ლაპარაკობენ, მას ეუბნებიან? გაეღვიძა
და ნათელს
ის ჩრდილებში ერეოდა, კუნძულში გაეღვიძა,
გაეღვიძა და ხელში ეჭირა წითელი ბურთი,
რომელსაც გაჰყვა,
კაცი იღვიძებს კუნძულში, ჰიდროპლანი
ეშვება.

კარი

1.

მერე იყო ლოდინი
კარის მეორე მხარეს
ლოდინი შენთვის
კარის ხის და შენი
სახელის გამო

როცა ძალიან ახლოდან შევხედე
გიხილეთ შენ და შენი სახელი
ერთმანეთში გადაგრეხილები თუ
გადაკლაკნილები

როგორც ბოლის ჩრდილი
სანთლის წვერიდან რომ მოედინება
როცა ქარი სინათლისგან
ათავისუფლებს

უპირველეს ყოვლისა
ჩვენ საგნების მოქალაქეები ვართ

და მერე შენ უპასუხე
მე ხმები გავიგე
ოთახის შიგნით
(ოთახია ის რის თქმასაც

კარი ცდილობს)

იყო მოძრაობა
და ეს შენ იყავი

წინმომავალი
ყვავივით მკვირცხლად
რათა კარი გაგეღო
მქონდა იმედი ან უბრალოდ დამდგარიყავი
მასთან ახლოს ხეზე
ლოყამიბჯენილი
გესმინა ჩემი სუნთქვა
სამყაროს მეორე მხარეს

2.

რადგან იცდიდნენ
არის სიტყვა

კარი

რამდენი ხისგან დამზადდი
რამდენმა გემმა მოგიტანა აქამდე

არასდროს და არავინ მე ვარ კარი

მე ვარ კარი
და საათს რაღაც ჰქონდა სათქმელი და
კედელს
და კატა იწვა ფანჯრის რაფაზე მზეში

მარად
რადგან კარში არაფერია განსხვავებული
ღია თუ დახურული კარი რჩება

შენ ფიქრობ: სახლია ვინც ახლა
მიიჩქარის და ცა
ეღვრება პორიზონტს
დალლილი ამდენი დარჩენის ზიდვით

უეცარ ნიალვრად

ანდა ფიქრობ: მე ავდგები ამ სკამიდან
და ნათურას წავიღებ ბნელ ოთახში
და დავფიქრდები იქ რატომ მოვედი

და კარმა იცის

მე კარი ვარ თქვა მან
მაგრამ არ გვითხრა როგორ გვესმინა

ჩვენ ვიცით როგორ მოვუსმინოთ ჩიტს
გავლილ მატარებელს
თავისი ორასი ვაგონით სამხრეთისაკენ
სილოსითა და წებოთი სავსე
ვიცით როგორ ვუსმინოთ მდინარეს

მაგრამ კარი ღრჭიალებს ან გაჯახუნდება
ამას შეგიძლია უსმინო
მაგრამ შენ ფიქრობ: არა, ეგ ისაა რასაც კარს
ვიღაც უშვება
ეგ ისევ ხალხის მოსმენა ან სახლების მოსმენაა

ახლა ისე მიქრის სახლი
ჩვენ ვერასდროს დავეწევით
ის სავსეა ჭარბწონიანი და ლიმონათისმსმელი
ჩვენით
ომისმსმენელებით
ყოველთვის ომი იყო მაშინ და მზე
შემოდიგადიოდა
და ეს იყო მანამ სანამ ატმის კურკა
შეასკდა ასფალტს აისხლიტა
და თვალში მოხვდა აფრითის შვილიშვილს

ეს იყო მანამ სანამ კლასობანას დიაგრამა
დაიხრიობოდა სისხლქვეშ

ოდნავ ჯერაც ხედავ თეთრ ხაზებს
მამაც სწორ ხაზებს კუთხეებში რომ
ხვდებიან
კარის კიდესავით ბასრებს

შენ ფიქრობ: დედაჩემი ზღუდარი იყო და
მამაჩემი ბოძი
შენ ფიქრობ: კარი ბევრად უფრო კეთილ
სარკეა
შენ ფიქრობ: არ აქვს მნიშვნელობა რამდენად
შორს ყოველთვის კარია ჩემს წინ
შენ ფიქრობ: მე სადარბაზოების ადმირალი
ვიქნები
შენ ფიქრობ: ვერაფერი გამაჩერებს

ცათა სასუფეველი საკეტს ჰგავს არა კარზე
კარს არა კედელზე
კედელს სახლის გარეშე
სახლს ჰაერში

შენ ფიქრობ: ყოველთვის არის სადმე
წასასვლელი

გარე-გარე ან შიგნით-შიგნით ან
ორივე ერთად

როგორც ძველი სიმღერა
ცარიელი ქვეყნიდან
მხოლოდ მკვდარ ხეზე
შემომჯდარ ყვავს ახსოვს
ყვავი ჭრაჭუნობს როგორ კარი ცაში

შენ ფიქრობ: შესაძლოა არსად იყოს
ნასასვლელი

შიგნით და გარეთ კარის სახელური შენს
თითებქვეშ
მისი დიდებული ქნარის რხევა
ქანაობს მის ანჯამებზე
შენ მას ძირავ წინ და უკან კარის ხვრელში
აქანავებ წინ და უკან როგორც დიად
კონჩერტინას
ქარი ქრის აქეთ და იქით
ქალალდები დგებიან მაგიდიდან და
შრიალებენ, ესაა სიახლე

შენ ფიქრობ: ამას მხოლოდ რაღაც კავშირი
აქვს კართან
მაგრამ რა არის კარი

მე ვარ კარი თქვა მან ჩემში თქვა მან

არის ერთგვარი მიმოსვლა
შენ ფიქრობ: მე კარში გავივლი
მაგრამ კარი შენთან ერთად მიდის.

3.

მაგრამ რა მზადდება
კარისგან

მატყლისგან ან ხორბლისგან
ან ორივესგან ერთად

ნეტა თუ ცხოველი იყო
ვინც ის იქ მარტო დატოვა
როგორც მოყავისფრო ბეწვის გროვა
გაჭედილი ეკლის ბუჩქში
ან როგორც მისი კურკლების ნაცვენი
ორთქლი რომ ასდის შემოდგომის სუსხში

იქნებ რძის გუბურას ჰგავს თხის ბაღში
დალვრილს როცა ნეზვი გადაიხარა როგორც
სჩვევიათ
და გოგოს რომელიც თხებს უვლის
ხელი აუცდა ქაჩვისას
და ძუძუ სპილოსძვლად იღვარა ბზით
დაფარულ მიწაზე

რა ხისგან დამზადდა
და ხე როგორ შვება ამას
საგანთა მტკიცე სისწორე
უგანზრახვოდ რომ დგანან ცაში

მე კარი ვარ და ჩემივე თავის მიერ ვარ ქმნილი
შეგიძლია გამაღო და შეგიძლია დამხურო
ანდა დამეყრდნო მწუხრის ჟამს
თან უსმინო მთიულათა კამათს მარცვლის
ქერქებში

რისგანაა ქმნილი, ეს კარი იქ რომაა
შენ ფიქრობ: ის იქ სამარადისოდაა
ის მხოლოდ საკუთარი თავისგან უნდა იყოს
ქმნილი

მაგრამ მას საკუთარი თავი არ აქვს ის კარია
მხოლოდ კარი
იღება და იხურება და არაფრის შესახებ არაა

მე კარი ვარ თქვა მან მე საკუთარი თავი არ
მაქვს, მე არაფრის შესახებ ვარ

შენ შორეული ქვეყნიდან დაბრუნდი და ის
იცდიდა

და ყველგან სადაც იმოგზაურე ის შენზე წინ
იყო

გიცდიდა ყოველი დღის ბოლოს
უხეში ძალლი, მზის ჩასვლა ნაგები ხისგან

ის არის მსოფლიოში ყველა გზა
ერთდროულად

მაგრამ რისგანაა ის დამზადებული, ეს კარი
ფიქრობ შენ, ან ნებისმიერი კარი
რატომ ვერ ვადებ ხელს მის მასალას
მის ბუნებას მის არსს
ისე როგორც შემიძლია ხელი დავადო
სახელურს

ან დავასვენო ჩემი უხეში ლოყა მის
ლირსებზე
დავიჩურჩულო ჩემი ცოლის სახელი
ისე რომ მხოლოდ კარმა გაიგოს
გაედე გაედე მას
ისე როგორც მთელი ჩემი სიცოცხლის
მანძილზე კარი თითქოს მემორჩილებოდა

მივყავდი უფრო და უფრო ღრმად ჩემი
ცხოვრების ოთახიდან ოთახში

და ის ყოველთვის ერთი და იგივე კარი იყო
ხომ ასეა

შენ ფიქრობ: კარი დამზადებულია
ჩვევებისგან ან არაფრისგან
შენ ფიქრობ: კარი შესვლისგანაა
დამზადებული
შენ ფიქრობ: კარი ჩემგანაა დამზადებული

მაგრამ ყოველთვის არის რაღაც რაც შენ არაა
რაღაც რაც ხეს გაგონებს
ჰო, რაღაც რაც ყველასგან არცთუ
მოშორებით იზრდება
რაღაც მყარი და გამოსადეგი და
პასუხგაცემადი როცა კითხულობ
ჰო, მაგრამ რაღაც რაც ეგეც არაა
რაღაც არაუკეთესი შუშის რაღაც
ლითონზე ცარიელი, კრისტალი
რომელსაც არავინ ჰყავს სახლში
გაფუჭებული რადიო ბავშვის ცერის ანაბეჭდი
დატოვებული დაკეტილი მაღაზიის
ფანჯარაზე

რისგანაა ის დამზადებული ეს კარი არავინ იცის
შენ ფიქრობ: ვიღაც ვინც მიყვარს

შესასვლელში მდგარი
მეუბნება ყველაფერს რაც კარების შესახებ
უნდა ვიცოდე

მაგრამ ყველაფრის მიღმა რაც იცი როგორ
იცოდე
კარი აქანავებს ლიად და ლიად თავის
ძლევამოსილ ფრთას.

შუაგულის ხმა

მასანიერ

ხე

სიკვდილისა, საბედისწერო
ყვავილობა ოპერის, ნაღვლიანი
დუ-ვობჩვენი ტრფობის
ცერემონიების

ორგაზმ შე დიადო ხეო
ბირთვიზრდება
ცხოველი
ყმუის იმის მიჯნაზე რასაც ჩვენ
ვგულისხმობთ
სხვა ლაპარაკობს

ესაა ჭეშმარიტი ბგერა
ნაზი ყმუილი
მგლის ღრენა
სიყვარულთან
მომავალი სიყვარულისა

მივბორძიკობ
იმის უღრანში რაც ჩემგან დატოვე
ეცადე იპოვო სახელი

რომელსაც ამოვიცნობ,
რამე დასავლეთის ან მგლის
ხორბლის მსგავსი

მაგრამ ვერაფერს ვაგნებ
გარდა მორიგი, ჩემთვის
გამოუსადეგარი საგნის,
ქმედითი სიტყვის
უცოდინარი

მაში გაიღვიძე
ხისჭრაა
ყლორტი ტყდება
ბავშვის დაცემა
მეტყველებაში

ყოველი ენა
სხვა ენაა
როდესაც გძინავს

და არცერთი სიტყვა არაფერს ნიშნავს

ამიტომ ხატავდა
ბლეიკი ამდენ
გველს და ვაზს და პწკალს
ცარიელი ადგილების გარშემო სადაც

სიტყვები იქნებოდა
სიტყვებს შორის რომელთა თქმაც
შეიძლებოდა

სიტყვები რომლებიც შეიძლება, დაიწეროს
სიტყვები არაა,

სივრცე მათ შორის
ამბობს ყველაფერს

რომლებსაც გველებით და ფესვებით და ვაზის
ფოთლებით ავსებდა შესახსენებლად.

ირაკლი ყოლბაია

როგორთ კელი - პოეტი, როგორც პოლისტი

სამოციანების ბოლოს, ორი ნიუ იორქული სკოლა არსებობდა: პირველი, ცხადია, ეშბერი, ო'ჰარა, კოხი, გესთი, სქაილერი და სხვები, ხოლო „მეორე თაობა“ გულისხმობდა ბერიგანს, ფეჯეთს, უოლდმენს და მრავალ სხვას. მაგრამ კიდევ არსებობდა „ჩემი“ ნიუ იორქული სკოლა (ჩემი, როგორც მკითხველის): ჯერომ როთენბერგი, დევიდ ენტინი, კლეიტონ ეშელმანი, რობერტ კელი, ჯორჯ ეკონომუ, რობერტ ოუენსი, არმან შვერნერი, დაიან ვაკოსკი, ჯექსონ მაკ ლოუ და, ერთგვარი უფროსი ძმის სახით, პოლ ბლექბერნი.

გარკვეულნილად, ორივე სკოლა („ოფიციალური“ და „ჩემი“) სურრეალიზმიდან წარმოიქმნა: „ოფიციალური“ ნიუ იორქული სკოლა სურრეალისტური ლექსის გარკვეულ ნიშნებს ეყრდნობოდა: ირონია, ენაკვიმატი გონებამახვილობა, ახირებული შედარებები, ყოველდღიური ცხოვრების სხვათამორის, შემთხვევითი მოხელთებები, ქუჩის პანორამა. „სხვა“ ნიუ იორქული სკოლის სურრეალისტური ნიშნები სულ სხვა იყო: სურრეალიზმის ექსოტიკა და თავად ამ მოძრაობის ექს-

ოტიკური განშტოებები, მისი პოლიტიკა (გა-
მოწვეული პირველი ომითა და მეორის ნინას-
ნარმეტყველებით), გატაცება „პრიმიტიულ-
ის“ მაგიური ძალებით, ისეთი ძიებები და ტე-
ქნიკები, როგორიცაა „შემთხვევითი ოპერ-
აციები,“ ჰალუცინოგენების ზემოქმედების
ქვეშ წერა, კოლაჟი, პერფორმანსი. ამ ორს
შორის განსხვავება ჰგავს განსხვავებას ბენჭ-
ამენ პერეს ლექსებსა და პოპოლ ვუხის მთა-
რგმნელ პერეს შორის, უცნაურ სიზმრებსა
და ნინასნარმეტყველურ სიზმრებს შორის,
აფრიკაში მყოფ რემონტუსელსა და მექსიკა-
ში მყოფ არტოს შორის, დე კირიკოსა და დუშ-
ამს შორის.

ელიოტ უაინბერგერი

1.

ვფიქრობ, ეს პასაჟი, რომელშიც ელიოტ უა-
ინბერგერი მისთვის დამახასიათებელი სიზუს-
ტითა და მჭევრმეტყველებით გვიხატავს იმას,
რასაც, საკმაოდ პირობითად, შეიძლება ამერ-
იკული პოეტური ავანგარდის მესამე თაობა ენ-
ოდოს*, გამოსადევია იმ სიტუაციის კონტექს-

* პირველი: ეზრა პაუნდი, უილიამ კარლოს უილიამსი,
ჰილდა დულიტლი, et al.; მეორე: ჩარლზ ოლსონი, რო-
ბერტ დანკანი, რობერტ ქრილი, პირველი ნიუ იორ-
კული სკოლა, ბიტნიკები, et al.

ტუალიზაციისთვის, რომელშიც რობერტ კელის შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო.

მაშინ, სამოციანების ნიუ იორკში, უაინბერგერის მიერ „სხვა ამერიკულ სკოლად“ წოდებული პოეტები „ღრმა სახე-ხატის“ (deep image) პოეტებად მოიხსენიებდნენ თავს - ტერმინი სწორედ რობერტ კელის და ჯერომ როთენბერგს ეკუთვნოდათ და ის პაუნდის იმაჟიზმისა და ლორკას ღრმა სიმღერის (cante jondo) ერთგვარ ნაზავად გვესახება, რაც გასაგებს ხდის, რომ ეს პოეტები მიზნად არა მხოლოდ პირველი ორი ამერიკული ავანგარდული ტალღის ძიებების გაგრძელებასა და განვრცობას ისახავდნენ, არამედ - მათი ევროპელი თანამედროვეების (ლორკას, მაგრამ აგრეთვე, როგორც უაინბერგერი გვაჩვენებს, განსაკუთრებით, დადა და სურრეალისტი წინამორბედების) ასიმილაციასაც.

2.

რობერტ კელი 1935 წელს დაიბადა და დღესდღეობით, სავარაუდოდ, ყველაზე ნაყოფიერი ამერიკელი პოეტია (სამოცდაათზე მეტი პოეტური კრებული, რამდენიმე რომანი, მხატვრული პროზა და არაერთი თეორიული/კრიტ-

იკული წიგნი). 23 წლის ასაკში მან მიიღო ფორმულა: „ყველაფერი დაწერე“, რამაც, მომდევნო 60 წლის განმავლობაში, განაპირობა მისი ყოველდღიური შემოქმედებითი ცხოვრება და რისი შედეგიცაა ის ფაქტი, რომ დღეს მისი შემოქმედების რამენაირი რეზუმირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

თავიდანვე, მისი ალქიმიური პროექტი პოეზიის ძველებურ, ჰოლისტურ მოდელთან დაბრუნება იყო - პოეზია, როგორც სფერო, რომელშიც ყველა ხელოვნება, ყველა მეცნიერება ერთმანეთს ერწყმის (დაყოფა, დანაწევრება, მეცნიერული „სოლვე“ (ანალიზი) მაგიური „კოაგულას“ (სინთეზის) ნინააღმდეგ, კელისთვის მთავარი ადამიანური ტრაგედიაა - ეს თემა, უფრო ვრცლად, „ნარსულებშია“ გაშლილი). კელისთვის პოეზია მთლიანობის მეცნიერებაა. მას ამისთვის უსაზღვრო პოეტური ნიჭი (გაი დევენ-პორტი მასზე წერდა: „რაზეც პაუნდი და ელიოტი მონებივით წვალობდნენ, რობერტ კელის, როგორც ჩანს, თანმობილი ნიჭის წყალობით გამოსდის“) და სწავლის უნარი გააჩნდა (12 წლის ასაკში, იგი დამოუკიდებლად სწავლობდა სანსკრიტს). ყველაფერის სწავლა იმაში გეხმარება, რომ მოემზადო იმის დასაწერად, რაც მოვა (დაწერით კი, აუცილებლად, ყველაფერი უნდა დაწერო); ენა ისე უნდა გაედინებოდეს ვენებ-

ში, როგორც ალქიმიური ვერცხლისწყალი. მოსვლა არც სჭირდება, მთავარი მოსმენაა, ყოველთვის ყველაფერი მეტყველებს, გველაპარაკება. პოეტს სიტყვები აქვს, უნდა ჰქონდეს, ამ ყველაფრისთვის.

პოეტი, როგორც მსოფლიო სწავლული. როგორც პაუნდი, ზუკოვსკი და ოლსონი მანამდე, ბუნებრივია, კელი გრძელი ლექსის ფორმასთან მიდის (მაგალითად, The Loom, მისი ყველაზე გრძელი ლექსი, 400 გვერდიანი), - არა, ეპოსი არაა „ლექსი, რომელიც ისტორიას მოიცავს“, როგორც პაუნდი ამბობდა; ეპოსი არის ლექსი, მატრიცა, რომელმაც ყველაფერი უნდა მოიცვას, რომელშიც ყველაფერი იპოვის თავის ადგილს.

კელის პოეტური პრიორიტეტები, ერთგვარი წმინდა სამება, მისი ერთ-ერთი ადრეული წიგნის სათაურში გამოიხატა: Flesh Dream Book (ხორცი სიზმარი წიგნი), რაზეც თავად ამბობს: „ადამიანური ინფორმაციის სამი დიადი წყარო: (1) გრძნობითი გამოცდილება (ხორცი), (2) სიზმარი და ხილვა, და (3) ტრადიციისა და სწავლის წმინდა წიგნი, დროში გაზიარებული“. თუ სამების მეორე პუნქტი სიზმარია, არაა გასაკვირი, რომ მისი არაერთი ლექსი გონისწამლებ ონიროკრიტიკად გვესახებ (თუნდაც, „ცხენების შესწავლისას“ ან „კაცს სძინავს“) - ეს ლექსები, თუ

გი დებორის ტერმინს გადავაკეთებთ, ალბათ, ონიროგეოგრაფიული დერივებია (dérive), მა-გრამ, ჩემი რწმენით, სიზმარი კელის პოეზიაში სცდება იმას, რასაც ფრონდით შთაგონებული სურრეალისტები ეძიებდნენ მასში; სიზმარი აქ არქაული მღვიმეა, არაცნობიერის მადანი, სა-დაც ყველა „ადამიანური (და არა მხოლოდ) ინ-ფორმაცია“, ყველა „წმინდა წიგნი“ ერთად თა-ნაარსებობს - პოეტი სიზმარში ენაფება პირვ-ელწყაროს, სიბრძნის არქეტიპულ ნაკადულს.

ჩემი აზრით, იმ მიმართულებას, რომელიც რობერტ კელიმ აირჩია (თუ რომელმაც აირჩია კელი), საუკეთესოდ ნორთობაზე ფრაი უილიამ ბლეიკის შესახებ დაწერილ წიგნში გამოხატ-ავს: „საჭიროა ახალი, ბიკამერული გონება, რომ-ელშიც რაღაც სხვა ჩაანაცვლებს ცნობიერებ-ას.“ „მოსმენა“, ხმების საკუთარ თავში გატარე-ბა, როგორც კელის მთავარი პოეტური პრინც-იპი, ალბათ, სწორედ ამგვარი ბიკამერული გო-ნების ძიებისკენაა მიმართული. არც ისაა შემ-თხვევითი, რომ ბლეიკი მთავარი პოეტური საი-დუმლოს დარაჯად გვევლინება „შუაგულის ხმაში“:

ამიტომ ხატავდა
ბლეიკი ამდენ
გველს და ვაზს და პწკალს

ცარიელი ადგილების გარშემო სადაც
სიტყვები იქნებოდა
სიტყვებს შორის რომელთა თქმაც
შეიძლებოდა

სიტყვები რომლებიც შეიძლება,
დაიწეროს
სიტყვები არაა,
სივრცე მათ შორის
ამბობს ყველაფერს

3.

ერთხელ მესიზმრა, რომ გოგო, რომელთან
ერთადაც ვსეირნობდი, სახლში მივაცილე, სა-
დაც, შემიპატიჟა რა მან შიგნით, მისაღებში ჩა-
მომჯდარ მამამისს შევეფეთე; მამა რობერტ
კელი იყო. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ, მერე დავ-
ემშვიდობე, კარამდე არავინ მიმაცილა, მაგრამ
სანამ კარს გამოვიხურავდი, კელიმ თავისი
ღრმა, ხავერდოვანი ხმით მომაძახა: „კომედი-
ის მთავარი წიგნი, ცხადია, პარადიზოა“, და თვა-
ლი ჩამიკრა. მერე კარი გამოვიხურე.

ჩემი აზრით, კელი ჩემი სიზმრის გარეთაც
ზუსტად ასე ფიქრობს - ბოლოს და ბოლოს, მისი

პოეტური სამების პირველი წევრი სხეულია, გრძნობითი გამოცდილების სხეული, და თუ ოდესმეუარსებია სიამის პოეტს, კელი სწორედ ასეთია. გზა, რომელიც ჯოჯოხეთით იწყება, სამოთხემდე მიდის, და კელისთვის ეს სამოთხე, ალბათ, გონებაა, ან - იქნება - სული.

ვფიქრობ, ესაა, რასაც ის გულისხმობს, როდესაც გვეუბნება: „გონება, საბოლოო ჯამში, ბედნიერია და ყველა სიამე / მისი მარტოობიდან მოდის მოდის მისი ამბორიდან“...

პ.ს.: როდესაც კელის ამ წიგნის იდეაზე მივწერე, მისგან ასეთი პასუხი მივიღე:

ნამდვილად წყალობაა იმაზე ფიქრი, რომჩემს ლექსებს საქართველოში წაიკითხავენ, იმ უძველეს მიწაზე, რომელსაც მიემართება და რომლიდანაც წამოვიდა ამდენი რამ, რისგანაც ჩემი მგრძნობელობა შედგება. და კლდეები შეისმენენ!

სარჩევი

წარსულები	5
საფოსტო ბარათები ქვესკნელიდან	14
ქვის კედელი პროვიდენსში	19
განთავისუფლების დღისაკენ	27
კაცი რომელსაც თეთრი შოკოლადი უყვარდა	29
ელეგია	39
ცხენების შესწავლისას	50
ნათელში	59
კაცს სძინავს	65
კარი	88
შუაგულის ხმა	99
მთარგმნელის ბოლოსიტყვა	102

ტირაჟი: 100 ცალი